Embassy of the United States of America

December 20, 2017
Tbilisi, Georgia

Mr. Shalva Kiknadze
Director
Thermorum Ltd.
20 Vazha Pshavela Ave.
Tbilisi, Georgia 0160

Dear Mr. Kiknadze:

Thank you for your letter dated December 14, 2017, regarding your request for a no objection letter from the U.S. Embassy with regard to your revised proposed construction project near the U.S. Embassy compound.

The Embassy has no objection to the revised structure of the building at 10 meters in height on the side facing the Embassy, and 12 meters in height on the opposite side as stated in the plans you submitted to us (cadastral code – 01.72.14.013.170)

If you have any other substantive changes to the design of the building, please inform us of them in advance.

Respectfully,

Adam Lamoreaux
Management Counselor
US Embassy Tbilisi

ამერიკის შეერთებული შტატების სამინისტრო

20 დეკემბერი, 2017
თბილისი, საქართველო

შპს თერმორუმის დირექტორს
ბატონ შალვა კიკნაძეს
ვაჟა-ფშაველას გამზ. 20
თბილისი, საქართველო

ბატონო შალვა,

მადლობას გიხდით 2017 წლის 14 დეკემბრით დათარიღებული წერილისთვის, რომელიც შეეხებოდა თქვენს მიერ აშშ საელჩოს წერილის მოთხოვნას, აშშ საელჩოს ტერიტორიის ახლოს თქვენს მიერ შემოთავაზებულ შესწორებულ სამშენებლო პროექტთან დაკავშირებით წინააღმდეგობის არარსებობის შესახებ.

საელჩო არ არის შენობის განახლებული სტრუქტურის წინააღმდეგი, რომლის სიმაღლეც თქვენს მიერ წარმოდგენილი გეგმების თანახმად, 10 მეტრი იქნება საელჩოს მხარეს, მეორე მხარეს კი 12 მეტრი (საკადასტრო კოდი - 01.72.14.013.170).

თუ კვლავ გეგმავთ შენობის პროექტში ცვლილებების შეტანას, გთხოვთ გვაცნობოთ წინასწარ.

პატივისცემით,

ადამ ლამორო
მენეჯმენტის მრჩეველი
აშშ საელჩო თბილისში

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N180123775
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	07.02.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ქეთევან გრიგოლია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას 45, მესამე სართული
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	593 127322
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	58631764880918

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას თვრამეტი წლის შვიდ თებერვალს მე, ქეთევან გრიგოლიას, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას №45, მე-3 სართულზე, მომმართა: **გრიგორ ქაჯაიამ** (დაბადებული 24.07.1954წ. დაბადების ადგილი: თბილისი, პირადობის მოწმობის №13IH16948, პირადი №01009023011, გაცემული 29.09.2014წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ, მცხოვრები: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 51, ბინა 15) პროფესიით გერმანული ენის და ინგლისური ენის მთარგმნელი, რომელსაც სურდა მის მიერ თარგმნილ საბუთებზე ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება.

მე, ნოტარიუსმა ქეთევან გრიგოლიამ შევამოწმე **გრიგორ ქაჯაიას** ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შევამოწმე მისი უფლებამოსილება (დიპლომი Г-I №185052, გაცემული 1978 წლის 1 ივლისს ილია ჭავჭავძის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის მიერ, ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი გერმანული ენის და ინგლისური ენის სპეციალობით, რეგისტრაციის №314).

მე, ნოტარიუსმა ქეთევან გრიგოლიამ გავაფრთხილე თარჯიმანი იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რაც დადგენილია არასწორი თარგმანის შემთხვევაში და განვუმარტე, რომ ვამოწმებ საბუთზე ხელმოწერას და შინაარსზე პასუხს არ ვაგებ, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი წინამდებარე თარგმანს.

ნოტარიუსის საზღაური: საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსხურების ვადების დამტკიცების შესახებ“ - ერთი ხელმოწერა, 2 (ორი) ლარი - მუხლი 31.3 + დღგ 0.36 (ოცდათექვსმეტი თეთრი) - თანახმად საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა + 2 (ორი) ლარი სანოტარო მოქმედებათა ელექტრონული რეგისტრაციის საფასური – მუხლი 39.1, თანახმად ზემოთ მითითებული დადგენილებისა, სულ 4.36 (ოთხი და ოცდათექვსმეტი თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი **ქეთევან გრიგოლია**

ახალი ქსელები

www.akhalikselebi.ge

13.02.2018წ. № 1/12/91/რ.ნ.

შპს ,,თბილქალაქპროექტი“ -ს
დირექტორს
ბატონ ირაკლი კვარაცხელია
ქ. თბილისი, თაბუკაშვილის N46
ტელ.: 577 34 33 77
591 75 75 50

გამარჯობათ ბატონო ირაკლი,

თქვენი 2018 წლის 7 თებერვალის წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ მითითებულ ს/კ 01.72.14.013.170 გადის ,,ახალი ქსელები“-ს მიწისქვეშა კომუნიკაცია

თქვენი მოწოდებული ინფორმაციით ,,ახალი ქსელები“-ს მიწისქვეშა კომუნიკაცია არ გიშლით ხელს დაგეგმილ სამუშაოების წარმოებისას.

შ.პ.ს „ახალი ქსელები” არ არის წინააღმდეგი სამუშაოების ჩატარების იმ პირობით, რომ სამუშაოები ჩატარდება ტექნიკური ნორმებისა და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვით.

სამუშაოების დაწყების წინ, გთხოვთ გამოიძახოთ ჩვენი წარმომადგენელი. სამუშაოების მსვლელობის დროს ჩვენი საკუთრების ნებისმიერი დაზიანების შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულება დაგეკისრებათ თქვენ, მიუხედავათ ბრალეულობისა.

ტელ.: 11 00 00

დანართი: 1. შეთანხმება (დანართი #1)
2. ნახაზი 1 (ერთი) ცალი. (დანართი #2)

პატივისცემით,
დირექტორი /ნ. შარაშენიძე /

შემს: ლ. ნოზაძე
ტელ: 2 541 676



ქ. თბილისი მგბრეშუმეობის ინსტიტუტი ;ს/კ 01.72.14.013.170

პირობითი აღნიშვნები:

% საკანალიზაციო–არხი

საკომუნიკაციო–ჭა

შ.პ.ს ახალი ქსელები
პოლიტკოვსკაიას № 42
ტელ. : +(995) 32 11 00 00

მუშა ნახაზი სახაზო მეურნეობა		თარიღი	2/12/2018
		მასშტაბი	1:1,000
კანალიზაცის სქემა		ფურცლები	ფურცელი
		1	1
პრ. მენეჯერი		მ. თოხაძე	
კომპ. უზრ		ლ. ნოზაძე	
შემსრულებელი		ლ. ნოზაძე	

ახალი ქსელები

დანართი : #1

შ.პ.ს "ახალი ქსელები" თანახმაა, ქვემოთ მოცემული პირობების დაცვით შესრულდეს განმცხადებელის მიერ წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები:

1.

დაშორება საპროექტო ხაზოვან ნაგებობასა და შ.პ.ს "ახალი ქსელები"-ს მიწისქვეშა ხაზოვან ნაგებობას შორის დასახლებულ პუნქტებში, ტრასის გასწვრივ, ნაგებობის განაპირა ხაზიდან, ტრასის ორივე მხარეს უნდა იყოს არანაკლებ 0,5 მეტრის სიგანის ზოლი.

2.

დაშორება საპროექტო ხაზოვან ნაგებობასა და შ.პ.ს "ახალი ქსელები"-ს საჰაერო ხაზებს შორის, მათი ტრასის გასწვრივ, ნაგებობის განაპირა ხაზიდან, ტრასის ორივე მხარეს უნდა იყოს არანაკლებ – 0,5 მეტრის სიგანის ზოლი.

3.

შ.პ.ს "ახალი ქსელები"-ს მხრიდან, იგივე (ან მიმდებარე) ტერიტორიაზე ხაზოვანი ნაგებობის მშენებლობა/რეკონსტრუქციის პროცესში შესაძლო დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, განმცხადებლის მიერ სარპოექტო ხაზოვანი ნაგებობის ზემოთ, არანაკლებ 0.15 მ-ის დაშორებით, ჩაიდოს გამაფრთხილებელი ლენტი.

4.

შ.პ.ს "ახალი ქსელები"-ს ხაზოვანი ნაგებობის გადაკვეთის შემთხვევაში სამუშაოები შესრულდეს ხელით.

5.

შ.პ.ს "ახალი ქსელები"-ს ხაზოვანი ნაგებობის გადაკვეთის შემთხვევაში, განმცხადებლის კომუნიკაციები მოთავსდეს შ.პ.ს "ახალი ქსელები"-ს ხაზოვანი ნაგებობის ქვემოთ, არანაკლებ 0,2 მეტრის დაშორებით.

6.

წინამდებარე ნებართვის გაცემით, ნებართვის მიმღები ადასტურებს თავის ვალდებულებას უზრუნველყოს შ.პ.ს "ახალი ქსელები"-სთვის ანალოგიური ნებართვის გაცემა მის მიერ წინამდებარე ნებართვაში მითითებულ (ან მის მიმდებარედ არსებულ) ტერიტორიაზე ხაზოვანი ნაგებობის მშენებლობის დაწყების და/ან სარეკონსტრუქციო/სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების შემთხვევაში.

7.

საპროექტო შენობა ნაგებობის და შ.პ.ს "ახალი ქსელები"-ს ხაზოვანი ნაგებობის დაშორება უნდა იყოს არა ნაკლნებ 1 მ სიგრძის.

8.

იმ შემთხვევაში, თუ შ.პ.ს "ახალი ქსელები"-ს მიერ წარმოდგენილი ან რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობის კოორდინატები განსხვავდება რეალობისგან, განმცხადებელი ვალდებულია:

დაუყონებლივ შეაჩეროს სამუშაოები;

აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს შ.პ.ს "ახალი ქსელები"-ს წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტით, (info@ak.ge) და შეთანხმების ბეჭედზე მითითებული ტელეფონის ნომრის მეშვეობით.

დაინტერესებული პირის დანართი
დამატებული მე-7 პუნქტი
დანართი ეთანხმება
შემსრულებელი

AKHALI KSELEBI LTD

N 13.02.2018 1/12/91/რ.6

იპოთეკის ხელშეკრულება # CAH000251211

ქ. თბილისი — 26 დეკემბერი 2017 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1. ბანკი:

1.1.1.	სახელწოდება (საფირმო):	ს.ს. „საქართველოს ბანკი";
1.1.1.1.	საიდენტიფიკაციო ნომერი:	204378869;
1.1.1.2.	იურიდიული მისამართი:	ქ. თბილისი, გაგარინის 29ა;
1.1.1.3.	საკორესპონდენციო (ფაქტობრივი) მისამართი: *(თუ განსხვავდება იურიდიული მისამართისაგან)*	ქ. თბილისი, გაგარინის 29ა
1.1.1.4.	წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):	
1.1.1.4.1.	სახელი და გვარი:	ლევან ნაცვლიშვილი;
1.1.1.4.2.	თანამდებობა/სტატუსი:	კორპორატიული საბანკო მომსახურების დეპარტამენტის სექტორის უფროსი, პირადი ნომერი: 01031004364;
1.1.1.5.	საკონტაქტო მონაცემები:	
1.1.1.5.1.	საკონტაქტო პირის სახელი და გვარი:	ქეთევან გაბუნია;
1.1.1.5.2.	თანამდებობა/სტატუსი:	კორპორატიული ბანკირი;
1.1.1.5.3.	ტელეფონი:	(+995 32) 2 444 308;
1.1.1.5.4.	ფაქსი:	(+995 32) 2 444 278;
1.1.1.5.5.	ელფოსტა:	kgabunia@bog.ge

1.2. მესაკუთრე:

1.2.1.	სახელწოდება (საფირმო)/სახელი, გვარი:	შპს თერმორუმი;
1.2.1.1.	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი:	405134448;
1.2.1.2.	იურიდიული/საცხოვრებელი მისამართი:	თბილისი, ვაკე-საბურთალო ვაჟა-ფშაველას გამზ., სახლის/კორპუსის ნომერი: 20, კორპუსი: *, *;
1.2.1.3.	საკორესპონდენციო (ფაქტობრივი) მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, გამზირი ვაჟა-ფშაველა, N 20, არასაცხოვრებელი ფართი ;
1.2.1.4.	წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):	
1.2.1.4.1.	სახელი და გვარი:	შალვა კიკნაძე;
1.2.1.4.2.	პირადი ნომერი:	01017017721;
1.2.1.4.3.	თანამდებობა/სტატუსი:	დირექტორი;
1.2.1.5.	საკონტაქტო მონაცემები:	
1.2.1.5.1.	საკონტაქტო პირის სახელი და გვარი:	შალვა კიკნაძე;
1.2.1.5.2.	თანამდებობა/სტატუსი:	დირექტორი;
1.2.1.5.3.	ტელეფონი:	+995 598 56 00 55;
1.2.1.5.4.	ფაქსი:	-;
1.2.1.5.5.	ელფოსტა:	thermorum@yahoo.com

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. **ხელშეკრულების** მე-3 მუხლით გათვალისწინებული **უზრუნველყოფილი მოთხოვნების** სრულად და ჯეროვნად უზრუნველსაყოფად, **მესაკუთრე ბანკის** სასარგებლოდ იპოთეკით ტვირთავს **ხელშეკრულების** მე-4 მუხლით გათვალისწინებულ **იპოთეკის საგანს**, ამავე მუხლით განსაზღვრული პირობებით, პარამეტრებით და უფლებრივი მდგომარეობით.

2.2. **ხელშეკრულების** საფუძველზე, **ბანკს**, სხვა კრედიტორებთან შედარებით, აქვს უპირატესი უფლება, პირველ რიგში მიიღოს **უზრუნველყოფილი მოთხოვნების** სრულად და ჯეროვნად დაკმაყოფილება **ხელშეკრულებითა** და **კანონმდებლობით** განსაზღვრული წესით.

3. უზრუნველყოფილი მოთხოვნები და მათი საფუძვლები

3.1. ძირითადი ხელშეკრულება:

3.1.1.	დასახელება:	ხელშეკრულება გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ;
3.1.2.	ნომერი:	GCL000145602-3223491;
3.1.3.	დადების თარიღი:	28 მარტი 2016 ;
3.2.	**ძირითად ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ი:**	**ძირითადი ხელშეკრულების** საფუძველზე და მის შესაბამისად დადებული შემდგენელი ან/და სხვა გარიგება ან/და დოკუმენტი, რომელთა დადება ან/და გაცემა გათვალისწინებულია **ძირითადი ხელშეკრულებით** ან/და ხდება მის საფუძველზე, და რომლის მხარე(ებ)საც წარმოადგენს/წარმოადგენენ ქვემოთ მითითებული **არსებული ან/და სამომავლო** მოვალე(ები);
3.3.	**არსებული ან/და სამომავლო მოვალე(ები):**	**ძირითადი ხელშეკრულების** ან/და **ძირითად ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** მხარე(ები) (გარდა **ბანკისა**) ან/და ის **პირ(ებ)ი**, რომლებიც მომავალში გახდება(ან) **ძირითადი ხელშეკრულების** მხარე(ები);
3.4.	**იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნები:**	**ძირითადი ხელშეკრულებიდან** ან/და **ძირითად ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)იდან** გამომდინარე **ბანკის** სასარგებლოდ არსებული, სამომავლო ან/და პირობითი მოთხოვნები **არსებული ან/და სამომავლო მოვალე(ებ)ის** მიმართ (მათ შორის, ერთმნიშვნელოვნად: ნებისმიერი სახის დავალიანება, საკომისიო, პირგასამტეხლო/ჯარიმა და **ბანკისათვის** მიყენებული ზიანი/ზარალი), ასევე სასამართლოს (მათ შორის საარბიტრაჟო სასამართლოს), აღსრულების, და ამგვარი მოთხოვნებიდან გამომდინარე ნებისმიერი სხვა ხარჯი.

4. იპოთეკის საგანი და პირობები

4.1. იპოთეკის საგნის აღწერა:

4.1.1.	საკადასტრო კოდი:	01.72.14.013.170;
4.1.1.1.	მისამართი:	ქალაქი თბილისი, მეაბრეშუმეობის ს/კ ინსტიტუტი;
4.1.1.2.	უძრავი ნივთი/აღწაგობის უფლება:	[უძრავი ნივთი]
4.1.1.2.1.	მიწის ნაკვეთი:	მიწა ფართით 1660 კვ.მ.;
4.1.1.2.2.	შენობა-ნაგებობა:	-;
4.1.1.2.3.	შენობა-ნაგებობის ერთეული:	-;
4.1.1.2.4.	ხაზობრივი ნაგებობა:	-;
4.1.1.2.5.	უფლების დამდგენი დოკუმენტი:	
4.1.1.3.	არსებითი შემადგენელი ნაწილი:	ყველა ის ნივთი, რომელიც მყარადაა დაკავშირებული **იპოთეკის საგანთან** და არ არის გამიზნული დროებითი სარგებლობისათვის, რომლის გამოცალკევებაც შეუძლებელია **იპოთეკის საგნის** ან/და ამ ნაწილის განადგურების ან/და მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე, ასევე მოძრავი ნივთი, რომელიც განკუთვნილია **იპოთეკის საგნის** სამსახურისთვის, დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რის გამოც იგი სივრცობრივ კავშირშია **იპოთეკის საგანთან**. ასევე, **იპოთეკის საგნის** გაერთიანების შედეგად **იპოთეკის საგანზე** არსებით შემადგენელ ნაწილად შეერთებული ნაწილ(ებ)ით ან/და დაყოფის შედეგად წარმოშობილი **იპოთეკის საგნის** ნაწილ(ებ)ი, **იპოთეკის საგნის** ნაყოფი ან/და ყველა გაუმჯობესება.
4.1.1.4.	რეგისტრაციის მონაცემები:	**იპოთეკის საგნის** იდენტიფიკაციის მიზნით **მესაკუთრის** მიერ წარმოდგენილია საჯარო რეესტრიდან ამონაწერი ან/და საკადასტრო გეგმა.
4.1.1.5.	ღირებულება ხელშეკრულების დადების თარიღისათვის:	280 000 (ორასოთხმოცი ათასი) აშშ დოლარი ან ექვივალენტი სხვა ვალუტაში ბანკში დადგენილი კომერციული კურსით.

4.2. **ხელშეკრულების** დადებისას **იპოთეკის საგნის** ნივთობრივი და უფლებრივი მდგომარეობის დადგენისას **ბანკი** დაეყრდნო **მესაკუთრის** მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას ან/და ინფორმაციას.

4.3. **მესაკუთრის** განცხადებით:

4.3.1. **იპოთეკის საგანს** არ გააჩნია რაიმე თვისება, რომლის გამოვლინების შედეგად ადგილი ექნება მის დახიანებას, განადგურებას, ღირებულების შემცირებას ან გაუფასურებას;

4.3.2. **იპოთეკის საგანი** ვარგისია ექსპლუატაციისათვის და იგი არ არის ამოღებული ბრუნვიდან;

4.3.3. **იპოთეკის საგნის ხელშეკრულებით** დადგენილი პირობებით იპოთეკით დატვირთვა არ ეწინააღმდეგება **კანონმდებლობას** და არ არღვევს სხვა **პირ(ებ)ის კანონმდებლობით** დაცულ უფლებებსა და ინტერესებს;

4.3.4. **ხელშეკრულების 4.1.1.5.** ქვეპუნქტით განსაზღვრული **იპოთეკის საგნის** ღირებულება **ხელშეკრულების** დადების მომენტისათვის და **ხელშეკრულების** მიზნებისათვის წარმოადგენს სამართლიან და გონივრულ ღირებულებას.

4.4. **მესაკუთრის** მიერ **იპოთეკის საგნის** (ან მისი ნაწილის) განკარგვა (საკუთრებაში ან სარგებლობაში გადაცემა, მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნად გამოყენება, გარდაქმნა, გაყოფა ან/და გაერთიანება სხვა საგანთან და სხვ.) დასაშვებია მხოლოდ **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობით. **ბანკის** უარი გამორიცხავს **იპოთეკის საგანზე** (ან მის ნაწილზე) ნებისმიერი ზემოაღნიშნული ქმედების ან/და გარიგების განხორციელების შესაძლებლობას და შესაბამისად ამ წესის დარღვევით განხორციელებული ქმედება ან/და გარიგება ბათილია და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, გარდა **კანონმდებლობით** ცალსახად განსაზღვრული შემთხვევებისა. **ბანკისაგან** თანხმობის მისაღებად **მესაკუთრე** ვალდებულია

მესაკუთრის ხელმოწერა /_____/

წერილობით მიმართოს **ბანკს იპოთეკის საგნის** (ან მისი ნაწილის) განკარგვამდე არანაკლებ 20 (ოცი) კალენდარული დღით ადრე და მიუთითოს **იპოთეკის საგნის** (ან მისი ნაწილის) შესაძლო შემძენის, იპოთეკარის, მოსარგებლის ან/და სხვა უფლების მფლობელის ვინაობა, და **ბანკს** წარუდგინოს ამგვარი შესაძლო შემძენის, იპოთეკარის, მოსარგებლის ან/და სხვა უფლების მფლობელის წერილობითი დასტური, რომ იგი გაცნობიერია **ხელშეკრულების** და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** პირობებს და აღიარებს, რომ მასზე შესაბამისად გადადის **მესაკუთრის ხელშეკრულებით** და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით** გათვალისწინებული ვალდებულებები. ამასთან, ამგვარი შეტყობინების მიუწოდებლობა ან/და შესაძლო შემძენის, იპოთეკარის, მოსარგებლის ან/და სხვა უფლების მფლობელის მიერ წერილობითი დასტურის წარუდგენლობა არ გამორიცხავს **ხელშეკრულებით** და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით** გათვალისწინებულ **ბანკის** უფლებებს.

4.5. **იპოთეკის საგნის** (ან მისი ნაწილის) დაკარგვასთან, დაზიანებასთან, განადგურებასთან, ღირებულების შემცირებასთან ან გაუფასურებასთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი სახის ანაზღაურება, მათ შორის, სადაზღვევო ანაზღაურება, იკავებს **იპოთეკის საგნის** (ან მისი ნაწილის) ადგილს. ამასთან, **მესაკუთრეს** უფლება აქვს **ბანკის** წერილობითი თანხმობის შემთხვევაში ანაზღაურების თანხით შეიძინოს დაკარგული, დაზიანებული, განადგურებული, გაუფასურებული **იპოთეკის საგნის** (ან მისი ნაწილის) შემცვლელი ნივთი, რომელიც დაიკავებს **იპოთეკის საგნის** (ან მისი ნაწილის) ადგილს.

5. **დეფინიციები**

თუ **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ან მისი/მათი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს **ხელშეკრულების**, მისი **დანართ(ებ)ის** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** მიზნებისათვის, ქვემოთ მოცემულ დეფინიციებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

5.1. **ანგარიში** – **ბანკში** არსებული **მესაკუთრის საბანკო** ანგარიშ(ებ)ი, ამგვარის არსებობის შემთხვევაში;

5.2. **განცხადებები და გარანტიები** – **ხელშეკრულების მე-6 მუხლში** მოცემული **მესაკუთრის** განცხადებები და გარანტიები;

5.3. **დამატებითი პირობები** – **ხელშეკრულების დანართ N1**-ით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრული პირობები, მასში შეტანილი დამატებებისა და ცვლილებების ჩათვლით;

5.4. **დანართი** – თუკი ცალსახად სხვაგვარად არ იქნა გათვალისწინებული **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებებით**, **ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** დანართ(ებ)ი (კონტექსტის შესაბამისად), რომელიც/რომლებიც წარმოადგენს **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მათთან ერთად;

5.5. **კანონმდებლობა** – საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები;

5.6. **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულება** (ან **ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულება**) – **ხელშეკრულების** საფუძველზე და მის შესაბამისად **ბანკსა** და **მესაკუთრეს** ან/და **ბანკსა** და **მესამე პირ(ებ)ს** (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **მოვალეს**) შორის დადებული დაზღვევის **ხელშეკრულება**, სხვა გარიგება ან/და დოკუმენტი, რომელთა დადება ან/და გაცემა გათვალისწინებულია **ხელშეკრულებით** ან/და ხდება მის საფუძველზე;

5.7. **მესაკუთრე** – უძრავი ნივთის და აღნაგობის უფლების მესაკუთრე ფიზიკური პირ(ებ)ი, იურიდიული პირ(ებ)ი ან/და სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომლის/რომელთა სახელი/სახელწოდება, საიდენტიფიკაციო მონაცემები და სხვა სახის ინფორმაცია მოცემულია წინამდებარე იპოთეკის ხელშეკრულების 1.2. **პუნქტში**;

5.8. **მესამე პირ(ებ)ი** – ნებისმიერი პირი გარდა **მესაკუთრისა** ან/და **ბანკისა**;

5.9. **მოვალე(ები)** – **ხელშეკრულების 3.3. პუნქტით** განსაზღვრული არსებული ან/და სამომავლო მოვალე(ები);

5.10. **მხარე/მხარეები** – **მესაკუთრე** ან/და **ბანკი**, კონტექსტის შესაბამისად;

5.11. **ოვერდრაფტი** – **ხელშეკრულების** საფუძველზე (მათ შორის, **ხელშეკრულების 12.3.3. ქვეპუნქტის** საფუძველზე) და **ბანკში** დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად, **ბანკის** მიერ **მესაკუთრის ანგარიშ(ებ)ზე** არაუმეტეს ერთი წლის ვადით დაშვებული სადებეტო ნაშთი, რომელიც პირველ რიგში ავტომატურად დაიფარება **ანგარიშზე** შემოსული თანხით;

5.12. **პირ(ებ)ი** – ფიზიკური პირ(ებ)ი, იურიდიული პირ(ებ)ი ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც არ წარმოადგენს/წარმოადგენენ იურიდიულ პირ(ებ)ს;

5.13. **სპრინცენტო სარგებელი** – **ხელშეკრულების** საფუძველზე და **ბანკში** დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად, **ოვერდრაფტით** სარგებლობისათვის დაწესებული **ბანკისათვის** გადასახდელი სარგებელი, რომლის ოდენობაც შეესაბამება (ა) **ძირითად ხელშეკრულებაში** მითითებულ საპროცენტო სარგებლის მაქსიმალურ ოდენობას, ამგვარის არსებობის შემთხვევაში, ან (ბ) **ბანკში** მოქმედი საპროცენტო სარგებლის მაქსიმალურ ოდენობას, და რომელიც, როგორც წესი, დაიანგარიშება შესაბამისი ათვისებული თანხის ფიქსირებული ან ცვალებადი პროცენტული მაჩვენებლით;

5.14. **უზრუნველყოფილი მოთხოვნები** – **ხელშეკრულების 3.4. პუნქტით** გათვალისწინებული მოთხოვნები;

5.15. **უძრავი ნივთი** – მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობით (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული) ან მის გარეშე, შენობა-ნაგებობა (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული), **შენობა-ნაგებობის ერთეული** (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული), **ხაზობრივი ნაგებობა** ან/და მათზე არსებული უფლება **კანონმდებლობით** განსაზღვრულ შემთხვევებში;

5.16. **შენობა-ნაგებობის ერთეული** – ერთ სისტემაში გაერთიანებული (ურთიერთდაკავშირებული) მომიჯნავე სათავსების ერთობლიობა ან იზოლირებული სათავსი (სათავსების ერთობლიობა), რომელიც გამოიყენება საცხოვრებლად ან არასაცხოვრებლად (მაგ: ბინა, არასაცხოვრებელი ფართი, კომერციული ფართი, და სხვა);

5.17. **შვილობილი კომპანია** – **პირთან** მიმართებაში, ნებისმიერი სხვა კომპანია, რომლის წილის, აქციების ან/და ხმების არანაკლებ 50%-ს (ორმოცდაათ პროცენტს) პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს, ან რომელსაც სხვაგვარად მართავს აღნიშნული **პირი**;

5.18. **ძირითადი ხელშეკრულება** – **ხელშეკრულების 3.1. პუნქტით** გათვალისწინებული ხელშეკრულება;

5.19. **ძირითად ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებები** – **ხელშეკრულების 3.2. პუნქტით** გათვალისწინებული ხელშეკრულება(ები);

5.20. **ხაზობრივი ნაგებობა** – საკომუნიკაციო ნაგებობა, საავტომობილო გზა, რკინიგზა, ყველა სახის მილსადენი, გვირაბი, საჰაერო-საბაგირო გზა, ელექტროგადამცემი ხაზი, კავშირგაბმულობის ხაზი, ფუნიკულიორი, დამბა, არხი;

5.21. **ხელშეკრულება** – **მხარეთა** შორის დადებული (ა) წინამდებარე იპოთეკის ხელშეკრულება; (ბ) წინამდებარე იპოთეკის ხელშეკრულების **დანართი N1** (**დამატებითი პირობები**) (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და (გ) წებისმიერი დამატებითი **დანართ(ებ)ი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და რომლებიც დაიდება მომავალში **მხარეთა** მიერ წინამდებარე იპოთეკის **ხელშეკრულებასთან** მიმართებაში, ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში პერიოდულად შეტანილი ცვლილებების და დამატებების ჩათვლით.

6. **განცხადებები და გარანტიები**

6.1. **მესაკუთრე** აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:

6.1.1. მისთვის ცნობილია და ნათელია:

6.1.1.1. რომ **იპოთეკის** საგანი **ბანკის** სასარგებლოდ იპოთეკით იტვირთება **მოვალის** მიმართ არსებული **უზრუნველყოფილი მოთხოვნების** უზრუნველსაყოფად;

6.1.1.2. თუ რა სახის და მოცულობის მოთხოვნების უზრუნველსაყოფად ტვირთავს **იპოთეკის** საგანს **ბანკის** სასარგებლოდ;

6.1.1.3. **ძირითადი ხელშეკრულების** არსებული პირობები და დებულებები, მათ შორის, ის გარემოება, რომ **მესაკუთრის** პასუხისმგებლობის ფარგლები განისაზღვრება **ძირითადი ხელშეკრულების** ან/და **ძირითადი ხელშეკრულების** შესაბამისად დადებული ნებისმიერი **ძირითად ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** (მათში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით) პირობებისა და დებულებების შესაბამისად.

6.1.2. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** დადების/ხელმოწერის დროისათვის არის/იქნება ქმედუნარიანი (მათ შორის, შექმნილი **კანონმდებლობით** დადგენილი წესით);

6.1.3. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** დადების/ხელმოწერისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილების მიზნით მის მიერ მოპოვებულია ყველა აუცილებელი თანხმობა, ნებართვა თუ მინდობილობა;

6.1.4. მომავალში **დანართ(ებ)ის** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** დადების/ხელმოწერისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილების მიზნით მის მიერ მოპოვებული იქნება ყველა აუცილებელი თანხმობა, ნებართვა თუ მინდობილობა;

6.1.5. **ხელშეკრულება** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ი** იდება/დაიდება მის მიერ ნებაყოფლობით, **ბანკის, მოვალის**, ან სხვა **მესამე პირ(ებ)ის** მხრიდან მის მიმართ ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის ან/და რაიმე სხვა გარემოების გამოყენების გარეშე;

6.1.6. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** დადება და შესრულება არ იწვევს/გამოიწვევს იმ სახელშეკრულებო, სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო), **საკანონმდებლო** ან/და სხვა ვალდებულებების დარღვევას, რომელთა დაცვაზეც ის პასუხისმგებელია;

6.1.7. გარდა მის მიერ **ბანკისათვის** წინასწარ წერილობით გაცხადებული შემთხვევებისა, **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** დადების/ხელმოწერის მომენტისათვის, ის არ მონაწილეობს არც ერთ დავაში (მოსარჩელის, მოპასუხის, **მესამე პირის** ან სხვა სახით), რითაც საფრთხე ექმნება **იპოთეკის საგანს** ან/და მის მიერ **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** პირობების შესრულებას;

6.1.8. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** დადების/ხელმოწერისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის მისი საქმიანობა ან/და ქმედება შესაბამისობაში არის/იქნება საკუთარ წესდებასთან ან/და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტთან და ადგილობრივ ან/და საერთაშორისო კანონმდებლობასთან;

6.1.9. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** დადების/ხელმოწერისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის იგი იცავს და დაიცავს ნებისმიერი **ხელშეკრულების** ან/და სხვა გარიგების პირობებს, ან/და სხვა ვალდებულებებს, რომელთა შეუსრულებლობამაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს **მესაკუთრის** მიერ **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

6.1.10. მისი ქმედება არ არის/იქნება მიმართული **ბანკის** მოტყუებისაკენ. აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** დასადებად ან მის საფუძველზე და შესასრულებლად, მის მიერ **ბანკისათვის** წარდგენილი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია მისი წარმოდგენის მომენტისათვის ასევე არის/იქნება უტყუარი, ზუსტი და სრული. ამასთანავე, მისთვის ცნობილია, რომ ყალბი დოკუმენტების ან/და ინფორმაციის მიწოდება **კანონმდებლობის** შესაბამისად წარმოადგენს დასჯად ქმედებას.

6.1.11. მისთვის ცნობილია, რომ **ბანკის** პოლიტიკა მკაცრად კრძალავს დირექტორის, უფლებამოსილი **პირის**, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული **პირის** ან/და მისი აფილირებული **პირის** მონაწილეობას იმგვარ ქმედებებში, რაც გულისხმობს ღირებულების მქონე რაიმე ნივთის/არამატერიალური ქონებრივი სიკეთის შეთავაზებას ან მიღებას (პირდაპირ თუ არაპირდაპირ), ამა თუ იმ **პირის, ბანკის**, მასთან დაკავშირებული **პირის** ან/და მისი აფილირებული **პირის** ან მისი კლიენტის მიერ სარგებლის მიღების, ბიზნესის არაკეთილსინდისიერად მოპოვების ან შენარჩუნების ან/და სხვაგვარი ბიზნეს უპირატესობის მიღების მიზნით;

6.1.12. მას (მათ შორის არც მის დირექტორს, უფლებამოსილ **პირს**, წარმომადგენელს, თანამშრომელს ან სხვა პერსონალს) ან მასთან დაკავშირებულ **პირს** ან/და მის აფილირებულ **პირს**:

6.1.12.1. პირდაპირ ან არაპირდაპირ არ გადაუხდია ან მიუღია (ან ჩართულა რაიმე გარიგებაში, რომლის მიხედვითაც უნდა გადაიხადოს ან მიიღოს), ნებისმიერი უკანონო ან/და დაფარული საკომისიო, ქრთამი, სასყიდელი ან ანაზღაურება, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს **ხელშეკრულებას** ან/და **მასთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულებას**; ან/და

6.1.12.2. არ განუხორციელებია რაიმე ქმედება (ფარული შეთანხმების ჩათვლით), რასაც შესაძლოა გავლენა მოეხდინა **ხელშეკრულების** დადებაზე, რომლის მიზანია ფასების ხელოვნური რეგულირება ან/და არაკონკურენტული გარემოს შექმნა; ან/და

6.1.12.3. არ შეუთავაზებია ან მიუღია ღირებულების მქონე რაიმე ნივთი/არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რასაც შეიძლება გავლენა მოეხდინა **ბანკის**, მისი დირექტორის, უფლებამოსილი **პირის**, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული **პირის** ან/და მისი აფილირებული **პირის** ქმედებებზე, ასევე რომელიმე ზემოაღნიშნული **პირის** მხრიდან არ ჰქონია ადგილი მუქარას მისი ქონების ან რეპუტაციის მიმართ, ბიზნეს უპირატესობის არაკეთილსინდისიერად მოპოვების, ან ბიზნესის წარმოების მიზნით; ან/და

6.1.12.4. სხვაგვარად არ ყოფილა ჩაბმული კორუფციულ საქმიანობაში.

6.1.13. **ბანკის** პოლიტიკის ან ნებისმიერი ზემოაღნიშნული დებულების დარღვევა გამოიწვევს **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** შეწყვეტას. ამასთან, ამგვარი შეწყვეტა არ გამორიცხავს **მესაკუთრის** ან/და მისი დირექტორის, უფლებამოსილი **პირის**, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული **პირის** ან/და მისი აფილირებული **პირის** პასუხისმგებლობას და შესაბამის სანქციებს, რაც გათვალისწინებულია **კანონმდებლობით** (მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც).

6.2. **მესაკუთრის** აღნიშნული **განცხადებები და გარანტიები** ძალაშია **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა.

მესაკუთრის ხელმოწერა /_____/

6.3. **მესაკუთრე** დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს **ბანკს** ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს მის აღნიშნულ **განცხადებებთან და გარანტიებთან** ან/და გამოიწვიოს მათი დარღვევა; ასევე, ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყების ან დადგომის შესახებ, რითაც საფრთხე შეექმნება **იპოთეკის საგანს** ან/და მის მიერ **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით** ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას.

6.4. **მხარეები** აცხადებენ და აცნობიერებენ, რომ **ბანკი** მხოლოდ **მესაკუთრის** ზემოაღნიშნული **განცხადებების და გარანტიების** საფუძველზე და მათზე დაყრდნობით დებს/დადებს და შეასრულებს **ხელშეკრულებას** ან/და **მასთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულებ(ებ)ს**.

7. მხარეთა სხვა უფლება-მოვალეობები

7.1. მესაკუთრეს უფლება აქვს:

7.1.1. ისარგებლოს **იპოთეკის საგნით** და მისი ნაყოფით ისე, რომ ამით არ შემცირდეს **იპოთეკის საგნის** ღირებულება, თუ ეს შემცირება არ არის **იპოთეკის საგნის** ნორმალური სამეურნეო გამოყენების შედეგი;

7.1.2. **უზრუნველყოფილი მოთხოვნების** სრულად და ჯეროვნად დაკმაყოფილებით, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს **იპოთეკის საგანზე** (ან მის ნაწილზე) გადახდევინების მიქცევა;

7.1.3. **ხელშეკრულებით, მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით** ან/და **კანონმდებლობით** განსაზღვრული პირობებისა და საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, თუ იპოთეკის უფლების შეწყვეტა (მათ შორის, შეწყვეტის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში) დამოკიდებულია **ბანკის** ქმედებაზე, მოსთხოვოს მას ამ ქმედების შესრულება;

7.1.4. **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული წესითა და პირობებით ისარგებლოს **ხელშეკრულებით, მისი დანართ(ებ)ით, მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით** ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

7.2. მესაკუთრე ვალდებულია:

7.2.1. მოუაროს **იპოთეკის საგანს** და შეინარჩუნოს მისი ღირებულება. უზრუნველყოს **იპოთეკის საგნის** გამართულ მდგომარეობაში ყოფნა და გაიღოს ყველა ხარჯი მისი მოვლა-პატრონობისათვის. ამასთან, **იპოთეკის საგნის** არსებობისთვის საფრთხის შექმნის ან მისი ღირებულების შემცირების საშიშროების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს** ამის შესახებ და მინიმალურ ვადაში უზრუნველყოს საფრთხის თავიდან აცილება;

7.2.2. დაიცვას **იპოთეკის საგანი მესამე პირების** ხელყოფისა და მოთხოვნებისაგან. ამასთან, **ბანკს** დაუყოვნებლივ შეატყობინოს მის მიმართ **მესამე პირის** მიერ სარჩელის აღძრის შესახებ, თუ სასარჩელო მოთხოვნის საგანია **იპოთეკის საგანზე**, მის ნაწილზე, ნაყოფზე ან/და გაუმჯობესებაზე **მესაკუთრის** საკუთრების უფლების შეწყვეტა ან შეზღუდვა.

7.2.3. ***დაზღვევა.***

7.2.3.1. **ბანკის** წერილობით ან ზეპირი მოთხოვნით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო ასეთის არ არსებობისას, **ბანკის** მოთხოვნიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში დააზღვიოს ამავე მოთხოვნით განსაზღვრული სადაზღვევო შემთხვევები **ბანკის** სასარგებლოდ (ანუ დაზღვევის ბენეფიციარს უნდა წარმოადგენდეს **ბანკი**) ისე, რომ თუკი სხვაგვარად არ იქნა მოთხოვნილი **ბანკის** მიერ (ა) სადაზღვევო ანაზღაურებით შესაძლებელი იყოს **ბანკის** მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება, და (ბ) დაზღვევის ერთჯერადი ან კუმულატიური (ჯამური) ვადა არ უნდა იყოს **ბანკის** მოთხოვნების მოქმედების ვადაზე ნაკლები;

7.2.3.2. დაზღვევა განახორციელოს **ბანკისათვის** მისაღებ, მაღალი რეპუტაციის მქონე სადაზღვევო კომპანიაში;

7.2.3.3. დაზღვევის მომენტიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი წარუდგინოს **ბანკს**;

7.2.3.4. თუ დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტის ერთჯერადი მოქმედების ვადა ნაკლებია **ბანკის** მოთხოვნების მოქმედების ვადაზე, დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტის მოქმედების ვადის გასვლამდე არანაკლებ 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე წარუდგინოს **ბანკს** დაზღვევის დამადასტურებელი ახალი დოკუმენტი განახლებული ვად(ებ)ით;

7.2.3.5. დაიცვას დაზღვევის შესახებ **ხელშეკრულების** პირობები, მათ შორის სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს** და სადაზღვევო კომპანიას, აგრეთვე, განახორციელოს ყველა ის ქმედება, რომელიც მოთხოვნილია სადაზღვევო კომპანიის მიერ სადაზღვევო შემთხვევის ასანაზღაურებლად.

7.2.4. ***ინფორმაციის წარდგენა.***

7.2.4.1. **ბანკის** წერილობითი ან ზეპირი მოთხოვნით განსაზღვრულ გონივრულ ვადაში **ბანკისათვის** მისაღები ფორმით მიაწოდოს **ბანკს** ნებისმიერი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია, რომელიც:

7.2.4.1.1. ასახავს მონაცემებს იმ შესაძლო, პოტენციური ან/და არსებული ადმინისტრაციული, სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო) ან/და სხვა მსგავსი დავების ან/და სამართალწარმოების შესახებ, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს **მესაკუთრის** მიერ **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს, **იპოთეკის საგანთან**, გადახდისუუნარიანობასთან/გაკოტრებასთან დაკავშირებულ დავებს ან სამართალწარმოებას;

7.2.4.1.2. აუცილებელია **ბანკის** მიერ **კანონმდებლობის** მოთხოვნათა დასაცავად და შესასრულებლად;

7.2.4.1.3. გათვალისწინებულია **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით** ან/და მოთხოვნილია **ბანკის** მიერ გონივრულობის ფარგლებში (**მესაკუთრის** მიერ **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის მიზნით).

7.2.5. ***სხვა ვალდებულებები.***

7.2.5.1. თუ ის იმავდროულად არ არის **მოვალე**, არ წაუყენოს **ბანკს** ის შესაგებლები, რომლის უფლებაც მხოლოდ **მოვალეს** აქვს, მათ შორის, შესაგებლები ფულად ვალდებულებათა გაქვითვისა და მოთხოვნის გასაჩივრების გამო;

7.2.5.2. **მესაკუთრემ**, როგორც იურიდიულმა პირმა ან სხვა ორგანიზაციულმა წარმონაქმნა, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, **ბანკის** წინასწარი თანხმობის გარეშე არ დაუშვას ძირითადი საქმიანობის სფეროს შეცვლა, რეორგანიზაცია (გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა) ან ლიკვიდაცია ან/და ნებისმიერი მსგავსი რესტრუქტურიზაცია, გარიგება, თუ სხვა ქმედება, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს **მესაკუთრის** მიერ **ხელშეკრულებით, მისი დანართ(ებ)ით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

7.2.5.3. **ბანკის** წინასწარი თანხმობის გარეშე არ დაუშვას **იპოთეკის საგნის** ან მისი/მათი ნაწილის განკარგვა ან/და სხვაგვარად დატვირთვა, ან/და არ იკისროს იმგვარი ვალდებულებები ან/და გაწიოს ხარჯები, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს **მესაკუთრის** მიერ **ხელშეკრულებით, მისი დანართ(ებ)ით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

7.2.5.4. არ დაუშვას **ბანკისათვის** (მისი თანამშრომლების, წარმომადგენლების ან/და სხვა უფლებამოსილი **პირების** ჩათვლით) **ხელშეკრულებიდან** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებებიდან** გამომდინარე ნებისმიერი ზიანის (ზარალის) მიყენება ან ხარჯის დაკისრება, რომელიც **ბანკს** შეიძლება მიადგეს/დაეკისროს **მესაკუთრის**, თუ მასთან დაკავშირებული ნებისმიერი **მესამე პირის** ქმედებისაგან (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზარალი/ხარჯი გამოწვეულია **ბანკის** (მისი თანამშრომლების, წარმომადგენლების ან/და სხვა უფლებამოსილი **პირების** ჩათვლით) დაუდევრობით, სამსახურებრივი გულგრილობით ან გამიზნული ქმედებით), ხოლო ამგვარი გარემოების დადგომისას სრულად და ჯეროვნად აუნაზღაუროს **ბანკს** ნებისმიერი ამგვარი ზიანი (ზარალი), თუ ხარჯი;

7.2.5.5. **იპოთეკის საგანზე** გადახდევინების მიქცევის შედეგად **იპოთეკის საგნის** რეალიზაციის შემთხვევაში (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **იპოთეკის საგნის ბანკის** საკუთრებაში გადასვლის შემთხვევაში) **ბანკის** წერილობით ან ზეპირი მოთხოვნით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო ასეთის არ არსებობისას, **ბანკის** მოთხოვნიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში სრულად გაათავისუფლოს **იპოთეკის საგანი**. წინააღმდეგ შემთხვევაში, გადაუხადოს **ბანკს** ყოველდღიური პირგასამტეხლო თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის (სრული ან არასრული) **იპოთეკის საგნის** რეალიზაციის ფასის 0.1%-ის ოდენობით;

7.2.5.6. უზრუნველყოს **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით** გათვალისწინებული **განცხადებებისა და გარანტიების**, ვალდებულებებისა ან/და სხვა პირობების დაცვა;

7.2.5.7. დაიცვას და შეასრულოს **ხელშეკრულებით**, მისი **დანართ(ებ)ით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით** დადგენილი პირობები და ვალდებულებები ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი სხვა ვალდებულებები.

7.3. **ბანკს** უფლება აქვს:

7.3.1. დოკუმენტურად და ფაქტობრივად შეამოწმოს **იპოთეკის საგნის** არსებობა, მისი მდგომარეობა, მოვლის პირობები და მოსთხოვოს **მესაკუთრეს იპოთეკის საგნის** ღირებულების შესანარჩუნებლად საჭირო ზომების მიღება. თუ ირკვევა, რომ **მესაკუთრე** ვერ ან/და არ ასრულებს თავის მოვალეობებს, თავისი სახსრებით აღმოფხვრას **იპოთეკის საგნისათვის** მიყენებული ზიანი (ზარალი), ხოლო ამგვარი ქმედებების განსახორციელებლად აუცილებელი სახსრების გადახდა მოსთხოვოს **მესაკუთრეს**;

7.3.2. **იპოთეკის საგნის** ნივთობრივი და უფლებრივი უნაკლობის უზრუნველსაყოფად გამოიყენოს იგივე უფლებები, რაც **მესაკუთრემ**;

7.3.3. **უზრუნველყოფილი მოთხოვნები** და იპოთეკა (**ხელშეკრულებიდან** გამომდინარე მისი უფლებები და მოთხოვნები) საკუთარი შეხედულებისამებრ, **მესაკუთრის** შემდგომი თანხმობისა თუ აქცეპტის გარეშე გადასცეს სხვა **პირ(ებ)ს**;

7.3.4. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს, მოითხოვოს **უზრუნველყოფილი მოთხოვნების** ვადამდელი დაკმაყოფილება და მოთხოვნები დაიკმაყოფილოს სადაზღვევო ანაზღაურების ხარჯზე;

7.3.5. განახორციელოს **იპოთეკის საგნის** გადახდევინებისათვის მიქცევა, მიუხედავად იმისა, თუ ვის მფლობელობაში, სარგებლობაში ან საკუთრებაშია **იპოთეკის საგანი**;

7.3.6. ისარგებლოს **ხელშეკრულებით, მისი დანართ(ებ)ით, მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით** ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი სხვა უფლებებით.

7.4. **ბანკი** ვალდებულია:

7.4.1. **უზრუნველყოფილი მოთხოვნების** და იპოთეკის დათმობის შესახებ გონივრულ ვადაში ზეპირად ან წერილობით აცნობოს **მესაკუთრეს**;

7.4.2. დაიცვას და შეასრულოს **ხელშეკრულებით**, მისი **დანართ(ებ)ით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით** დადგენილი პირობები და ვალდებულებები ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი სხვა ვალდებულებები.

8. იპოთეკის საგანზე გადახდევინების მიქცევა

8.1. **ხელშეკრულების** 16.2.1. - 16.2.3. **ქვეპუნქტებით** გათვალისწინებული ნებისმიერი შემთხვევის ან/და სხვა მსგავსი გარემოების დადგომა (რაც წარმოადგენს **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** შეწყვეტის საფუძველს) ან/და აღნიშნული მიზეზით **ხელშეკრულების** შეწყვეტა ან/და **ძირითადი ხელშეკრულების** ან/და **ძირითად ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** დარღვევა (გარდა **ბანკის** მიერ დარღვევისა) საკმარისი საფუძველია იმისათვის, რომ **ბანკმა მესაკუთრისაგან, მოვალისაგან** ან/და ნებისმიერი **მესამე პირისაგან** მოითხოვოს **ძირითადი ხელშეკრულების, ძირითად ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** (მათ შორის, ერთმნიშვნელოვნად, **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის**) საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნების (მათ შორის, ვადამოუსვლელის) დაუყოვნებელი შესრულება **ძირითადი ხელშეკრულებით, ძირითად ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით, ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით** დადგენილი წესით. **ბანკის** ზემოაღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში კი **ხელშეკრულებით**, მასთან **დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით** ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი წესით. **ბანკის** მიერ **იპოთეკის საგანზე** გადახდევინების მიქცევისათვის.

8.2. **მხარეები** შეთანხმდნენ **იპოთეკის საგანზე** გადახდევინების მიქცევის ქვემოთ მითითებულ წესებზე. კერძოდ, **იპოთეკის საგანზე** გადახდევინების მიქცევის უფლებამოსილების წარმოშობის მომენტიდან **ბანკი** უფლებამოსილია თავის შეხედულებისამებრ:

8.2.1. **იპოთეკის საგნის** რეალიზაცია მოახდინოს **ბანკის** განცხადების საფუძველზე სასამართლოს (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლოს) მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად ან ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, **ბანკის** შეხედულებისამებრ სასამართლო ან კერძო აღმასრულებლის მიერ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონითა და სხვა **კანონმდებლობით** დადგენილი წესით. ამასთან, **მხარეები** ადასტურებენ, რომ მათ ნოტარიუსისგან მიიღეს ჯეროვანი განმარტება ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის სამართლებრივი ინსტიტუტის (მისი არსისა და ძირითადი პრინციპების) შესახებ და მათთვის ცნობილია ის ფაქტი, რომ ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელი შეცვლის სასამართლოს სააღსრულებო ფურცელს; შესაბამისად, **ბანკს** უფლება ექნება სასამართლოსადმი მიმართვისა და სასამართლო საქმისწარმოების გარეშე მიმართოს ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით, მიიღოს ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელი და **უზრუნველყოფილი მოთხოვნის** დაკმაყოფილების აღსრულების პროცესი დაიწყოს ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე;

8.2.2. **იპოთეკის საგნის** რეალიზაცია მოახდინოს **ხელშეკრულების მე-9 მუხლით** გათვალისწინებული კერძო აუქციონის ფორმით;

8.2.3. მიიღოს გადაწყვეტილება **იპოთეკის საგნის** უშუალოდ, პირდაპირი მიყიდვის გზით რეალიზაციის შესახებ და აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებიდან 180 (ასოთხმოცი) კალენდარული დღის ვადაში განახორციელოს **იპოთეკის საგნის** უშუალოდ, პირდაპირი მიყიდვის გზით რეალიზაცია (იგულისხმება აღნიშნულ ვადაში **იპოთეკის საგნის** გასხვისების შესახებ **მესამე პირ(ებ)თან** გარიგების დადება) **ხელშეკრულების მე-10 მუხლით** გათვალისწინებული წესით;

8.2.4. მიმართოს **მესაკუთრეს იპოთეკის საგნის ბანკის** (ან/და **მესამე პირ(ებ)ის**) საკუთრებაში გადასვლის მიზნით **იპოთეკის საგანზე ბანკის** (ან/და **მესამე პირ(ებ)ის**) საკუთრების უფლების წარმოშობის **უზრუნველყოფის** (მათ შორის საჯარო რეესტრში წარსადგენი **მესაკუთრისა** და **ბანკის** (ან/და **მესამე პირ(ებ)ის**) ერთობლივ

მესაკუთრის ხელმოწერა /________________________/

ჯანცხადებაზე ხელმოწერის) მოთხოვნით, **ხელშეკრულების** მე-11 **მუხლით** გათვალისწინებული წესით.

8.3. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ:

8.3.1. თუ **აპოთეკის საგანს** წარმოადგენს ერთზე მეტი **აპოთეკის საგანი** (საერთო აპოთეკა), **უზრუნველყოფილი მოთხოვნების** დასაკმაყოფილებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას ყოველი მათგანი, ხოლო აღნიშნულ **აპოთეკის საგანზე** გადახდევინების მიქცევის აუცილებლობას და რიგითობას განსაზღვრავს **ბანკი** ერთპიროვნულად და საკუთარი შეხედულებისამებრ;

8.3.2. **ხელშეკრულების 8.2. პუნქტით** შეთანხმებული **აპოთეკის საგანზე** გადახდევინების მიქცევის წესების რიგითობას და თანმიმდევრობას განსაზღვრავს **ბანკი** ერთპიროვნულად და საკუთარი შეხედულებისამებრ. ამასთან, **მესაკუთრისათვის** შესაბამისი შეტყობინების მიწოდებით **ბანკს** ნებისმიერ დროს შეუძლია შეცვალოს ან ჩაანაცვლოს მის მიერ ზემოაღნიშნული მიზნით მიღებული გადაწყვეტილება;

8.3.3. **ბანკის** მიერ **ხელშეკრულების 8.2.1. ქვეპუნქტით** გათვალისწინებული ერთ–ერთი უფლების – **აპოთეკის საგნის** რეალიზაცია კერძო აღმასრულებლის მეშვეობით, გამოყენების შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია: (ა) თავისი შეხედულებისამებრ შეარჩიოს ამგვარი კერძო აღმასრულებელი და (ბ) კერძო აღმასრულებელთან შეთანხმებით გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს კერძო აღმასრულებელის ანაზღაურების თუ სხვა ხარჯების ოდენობა, რომელთა ანაზღაურებაც დაეკისრება **მესაკუთრეს**.

8.4. თუ **აპოთეკის საგანზე** გადახდევინების მიქცევით მიღებული სარგებელი (**ბანკის** საკუთრებაში გადასული **აპოთეკის საგანი** ან **აპოთეკის საგნის** რეალიზაციიდან ამონაგები თანხა) სრულად არ ფარავს **უზრუნველყოფილ მოთხოვნებს**, და **მოვალესთან** გაფორმებული ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, **ბანკი** უფლებამოსილია მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების მიზნით გადახდევინება მიაქციოს **მოვალის** ნებისმიერ ქონებაზე.

8.5. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **მესაკუთრე** უფლებამოსილია **აპოთეკის საგანზე** გადახდევინების მიქცევის დასრულებამდე ნებისმიერ დროს დააკმაყოფილოს **უზრუნველყოფილი მოთხოვნები** (მათ შორის, დაკმაყოფილებამდე **ბანკის** მიერ გაწეული ხარჯები) და ამით შეწყვიტოს **აპოთეკის საგანზე** გადახდევინების მიქცევა.

9. ბანკის მიერ აპოთეკის საგნის რეალიზაცია კერძო აუქციონის მეშვეობით

9.1. **ბანკის** მიერ **ხელშეკრულების 8.2.2. ქვეპუნქტით** გათვალისწინებული უფლების გამოყენების შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია: (ა) თავისი შეხედულებისამებრ მოახდინოს **აპოთეკის საგნის** რეალიზაცია კერძო აუქციონის წესით **ბანკის** მიერ დანიშნული სპეციალისტის მეშვეობით, რომელიც უნდა იყოს ქმედუნარიანი პირი (ფიზიკური ან იურიდიული პირი, ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი) (შემდგომში - **სპეციალისტი**) (ამასთან, **მხარეები** დამატებით თანხმდებიან, რომ თუ **ბანკი** სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, ამგვარი **სპეციალისტი** იქნება - შ.პ.ს. „თბილისის საუკეთესო სახლი" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204545974; ვებ-გვერდი: www.auctionhouse.ge) ან მისი სამართალმემკვიდრე) და (ბ) **სპეციალისტთან** შეთანხმებით გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს **სპეციალისტის** ანაზღაურების თუ სხვა ხარჯების ოდენობა, რომელთა ანაზღაურებაც დაეკისრება **მესაკუთრეს**.

9.2. **სპეციალისტის** მიერ კერძო აუქციონი ჩატარდება საქართველოში (**ბანკსა** და **სპეციალისტს** შორის შეთანხმებულ ადგილზე), ქართულ ენაზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 302-ე მუხლის მე-6 ნაწილით, 306[1]-306[5] მუხლებითა, 306[3] მუხლის პირველი ნაწილითა და 307-ე მუხლის მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, **ხელშეკრულებითა** და **სპეციალისტის** მიერ დადგენილი სტანდარტული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წესებით, რომელიც იქნება მოქმედი **აპოთეკის საგნის სპეციალისტისათვის** სარეალიზაციოდ გადაცემის თარიღისათვის და ამასთან, სრულად ან ნაწილობრივ არ იქნება შეუსაბამო **ხელშეკრულებასთან** ან/და **მასთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულებებთან**, თუ **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით** სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ან **მხარეთა** დამატებითი წერილობითი შეთანხმებით სხვაგვარად არ იქნა განსახღვრული.

9.3. **სპეციალისტი** კერძო აუქციონის ჩატარების დროის, ადგილისა და სხვა პირობების თაობაზე გააკეთებს საჯარო გამოცხადებას და **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ შესაბამის დაინტერესებულ **პირებს** აცნობებს **კანონმდებლობითვე** დადგენილი წესებისა და პირობების დაცვით.

9.4. კერძო აუქციონზე **აპოთეკის საგნის** რეალიზაციის საწყისი ფასი დგინდება: (ა) **უზრუნველყოფილი მოთხოვნის** ჯამურ (მათ შორის, კერძო აუქციონის ხარჯების ჩათვლით) ოდენობასა, და (ბ) **ხელშეკრულების 4.1.1.5. ქვეპუნქტით** განსაზღვრულ **აპოთეკის საგნის** შეთანხმებულ ღირებულების შორის უმცირესის ოდენობით. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ კერძო აუქციონის საჯაროდ გამოცხადებამდე **ბანკის** მიერ **სპეციალისტისათვის** წარდგენილი იქნება განცხადება, რომ **ბანკის** შეფასებით **აპოთეკის საგნის** საბაზრო ღირებულება ნაკლებია როგორც **უზრუნველყოფილი მოთხოვნის** ჯამურ (მათ შორის, კერძო აუქციონის ხარჯების ჩათვლით) ოდენობაზე, ასევე **ხელშეკრულების 4.1.1.5. ქვეპუნქტით** განსაზღვრულ **აპოთეკის საგნის** შეთანხმებულ ღირებულებაზე, მაშინ საწყისი ფასი განისაზღვრება **სპეციალისტის**, დამოუკიდებელი ექსპერტის ან **ბანკის** (რომელიც უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერად) მიერ დადგენილი საბაზრო ღირებულებით.

9.5. თუ **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** პირობები ან/და **სპეციალისტის** მიერ დადგენილი სტანდარტული წესები სხვა რამეს არ ითვალისწინებს, ან **მხარეები** არ შეთანხმდებიან სხვა წესებზე, მაშინ მოქმედებს აუქციონის ჩატარების ის წესები, რაც განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 303-ე, 305-ე, 306[1]-ე და 306[5]-ე მუხლების პირობებით (ამგვარ პირობებში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით).

9.6. **ბანკის** მიერ **აპოთეკის საგნის** კერძო აუქციონის მეშვეობით რეალიზაციის შემთხვევაში, აუქციონზე დაფიქსირებული **აპოთეკის საგნის** რეალიზაციის ფასი, ანუ ფასი რა ფასადაც მოხდება **აპოთეკის საგნის** რეალიზაცია კერძო აუქციონზე, **მხარეების** მიერ ერთმნიშვნელოვნად და უპირობოდ მიიჩნევა **აპოთეკის საგნის** სამართლიან და გონივრულ საბაზრო ფასად.

9.7. **მესაკუთრე** ასევე ერთმნიშვნელოვნად და უპირობოდ აცხადებს, რომ **ხელშეკრულების** შესაბამისად **აპოთეკის საგნის** კერძო აუქციონის მეშვეობით რეალიზაციის მიზნით კერძო აუქციონში **ბანკის** მიერ მონაწილეობის მიღება და კერძო აუქციონის შედეგად **აპოთეკის საგნის** თავად **ბანკის** მიერ შეძენა წარმოადგენს **მხარეთა** შორის შეთანხმებულ **აპოთეკის საგნის** რეალიზაციის ფორმას.

9.8. თუ პირველ კერძო აუქციონზე **აპოთეკის საგნის** რეალიზაცია არ მოხდება (მყიდველების არ არსებობის, აუქციონში გამარჯვებულის მიერ სარეალიზაციო ფასის გადაუხდელობის გამო ან/და სხვა მსგავსი მიზეზით), **ბანკი** უფლებამოსილია 10 (ათი) დღის განმავლობაში **სპეციალისტისაგან** მოითხოვოს: (ა) **აპოთეკის საგნის** მისთვის საკუთრებაში (შემდგომში – **ნატურით**) გადაცემა, ან (ბ) მეორე აუქციონის დანიშვნა. იმ შემთხვევაში თუ მეორე კერძო აუქციონზე **აპოთეკის საგნის** რეალიზაცია კვლავ არ მოხდება, **ბანკი** უფლებამოსილია 10 (ათი) დღის განმავლობაში **სპეციალისტისაგან** მოითხოვოს (ა) **აპოთეკის საგნის** მისთვის საკუთრებაში **ნატურით** გადაცემა, ან (ბ) მესამე აუქციონის დანიშვნა. იმ შემთხვევაში თუ მესამე კერძო აუქციონზე **აპოთეკის საგნის** რეალიზაცია კვლავ არ მოხდება, ამგვარი აუქციონის ჩატარებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში **სპეციალისტი** **აპოთეკის საგანს ნატურით** გადასცემს **ბანკს**. ამასთან:

9.8.1. მეორე და მესამე აუქციონებზე (მათ გამოცხადებაზე, მოწყობაზე, შედეგებზე და სხვა) სრულად ვრცელდება **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** ის ნორმები (გარდა საწყისი ფასისა), რომლებიც ვრცელდება პირველ კერძო აუქციონზე;

9.8.2. მეორე და მესამე აუქციონების დროს საწყისი ფასი უნდა იყოს ყოველ წინა აუქციონზე შემოთავაზებული საწყისი ფასის ნახევარი, თუ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში **ბანკი** სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს, თუმცა არც ერთ შემთხვევაში საწყისი ფასი არ უნდა იყოს ყოველ წინა აუქციონზე შემოთავაზებულ საწყის ფასზე მეტი;

9.8.3. **ბანკის** მიერ **ხელშეკრულების 9.8 პუნქტის** მიხედვით 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში შესაბამისი მითითების გაუცემლობის შემთხვევაში, ამგვარი ვადის ამოწურვიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში **სპეციალისტი** **აპოთეკის საგანს ნატურით** გადასცემს **ბანკს**.

9.9. **აპოთეკის საგნის ბანკისათვის ნატურით** გადაცემის შესახებ **სპეციალისტი** გამოსცემს განკარგულებას, რომელიც ძალაშია მისი გამოცემისთანავე. განკარგულება **აპოთეკის საგნის ბანკისათვის ნატურით** გადაცემის შესახებ უნდა შეიცავდეს:

9.9.1. **ნატურით** გადასაცემი **აპოთეკის საგნის მესაკუთრის** მონაცემებს;

9.9.2. **ნატურით** გადაცემული **აპოთეკის საგნის** დასახელებას და აღწერას;

9.9.3. **ბანკის** მონაცემებს;

9.9.4. **აპოთეკის საგნის ნატურით** გადაცემის მიზეზს;

9.9.5. **აპოთეკის საგნის** ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება შესაბამისი აუქციონის საწყისი ფასით.

9.10. **აპოთეკის საგნის ნატურით** გადაცემის შემთხვევაში, **ბანკი** იკავებს **მესაკუთრის** ადგილს და **აპოთეკის საგანთან** მიმართებაში უქმდება ყველა სამართლებრივი უფლება/ურთიერთობა (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა), ხოლო ძველი **მესაკუთრე** კარგავს ყოველგვარ უფლებას ამ **აპოთეკის საგანზე**.

9.11. **აპოთეკის საგნის** კერძო აუქციონის მეშვეობით რეალიზაციიდან ამონაგები თანხიდან პირველ რიგში დაიფარება რეალიზაციის ხარჯები (მათ შორის, **სპეციალისტის**, დამოუკიდებელი ექსპერტის, ან ნებისმიერი სხვა **პირის** მიერ გაწეული მომსახურების ხარჯები) და შემდგომ დაკმაყოფილდება **უზრუნველყოფილი მოთხოვნები**, ხოლო კერძო აუქციონის ამონაგებიდან დარჩენილი თანხის განკარგვა მოხდება **სპეციალისტის** მიერ **კანონმდებლობით** დადგენილი წესით.

10. ბანკის მიერ აპოთეკის საგნის უშუალოდ, პირდაპირი მიყიდვის გზით რეალიზაცია

10.1. **ბანკის** მიერ **ხელშეკრულების 8.2.3. ქვეპუნქტით** გათვალისწინებული უფლების გამოყენების შემთხვევაში, **აპოთეკის საგნის** უშუალოდ, პირდაპირი მიყიდვის გზით რეალიზაციის მიზნით, **ბანკი** მოქმედებს **მესაკუთრის** სახელით და ხარჯზე, შესაბამისად, ამ მიზნით მისი სახელით გამოდის **მესამე პირებთან** (მათ შორის, საჯარო დაწესებულებებთან) ურთიერთობებში, დებს ან/და ხელს აწერს ნებისმიერ გარიგებას, მიმართავს, განცხადებას ან/და სხვა ნებისმიერ დოკუმენტს. **ბანკის** აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელება არ არის დამოკიდებული **მესაკუთრის** არანაირ დამატებით თანხმობაზე, ნებართვაზე ან/და მინდობილობაზე და ეს უფლებამოსილება **მესამე პირებთან** (მათ შორის, საჯარო დაწესებულებებთან) ურთიერთობებში არ შეიძლება შეიზღუდოს. **ბანკის** აღნიშნული უფლებამოსილების უზრუნველყოფის მიზნით კი **მესაკუთრე** ვალდებულია **ბანკის** წერილობით ან ზეპირი მოთხოვნით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო ასეთის არ არსებობისას, **ბანკის** მოთხოვნიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში დამატებით გასცეს შესაბამისი მინდობილობა **ბანკზე** ან/და **ბანკის** მოთხოვნითვე განსაზღვრულ **პირ(ებ)ზე**, რომელთა ქმედებაზეც პასუხისმგებელი თავად **ბანკი** იქნება. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ აღნიშნული მინდობილობის გაუცემლობა, არსებობა ან გაუქმება (მათ შორის, ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად გამოცხადება) არ გამორიცხავს და არ აუქმებს მინდობილობით უზრუნველყოფილ **ბანკის** ზემოაღნიშნულ უფლებამოსილებას, ხოლო **მესაკუთრის** მიერ მინდობილობის **ბანკის** წინასწარი თანხმობის გარეშე გაუქმება (მათ შორის, ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად გამოცხადება) წარმოადგენს **მესაკუთრის** მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევას.

10.2. **მესაკუთრე** ვალდებულია **ბანკის** მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში მისცეს **ბანკს** **აპოთეკის საგნის** უშუალოდ, პირდაპირი მიყიდვის გზით რეალიზაციის მიზნით **ბანკის** მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი ინფორმაცია ან/და დოკუმენტი.

10.3. **აპოთეკის საგნის** უშუალოდ, პირდაპირი მიყიდვის გზით რეალიზაციის შემთხვევაში, **ბანკი** ვალდებულია, **აპოთეკის საგანი** გაასხვისოს სამართლიან და გონივრულ ფასში. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, **ბანკი** პასუხს აგებს **მესაკუთრისათვის** მიყენებული ზიანისათვის.

10.4. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **აპოთეკის საგნის ბანკის** მიერ პირდაპირი მიყიდვის გზით რეალიზაციისას, **მესაკუთრის** წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში **ბანკი** **მესაკუთრეს** მიანიჭებს უპირატეს უფლებას **ბანკის** მიერ პოტენციურ მყიდველთან შეთანხმებულ პირობებით გადაუხადოს **ბანკს** პოტენციურ მყიდველთან შეთანხმებული რეალიზაციის ფასი. აღნიშნული მიზნით, **ბანკი** **მესაკუთრეს** აცნობებს პოტენციურ მყიდველთან **აპოთეკის საგნის** რეალიზაციის შეთანხმებულ პირობებს და **მესაკუთრეს** მისცემს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადას, რათა ამ უკანასკნელმა ისარგებლოს ამ **პუნქტით** გათვალისწინებული უფლებით ან ამგვარი უფლება მიანიჭოს ნებისმიერ **მესამე პირს**. იმ შემთხვევაში, თუ **მესაკუთრე** (ან მის მიერ დასახელებული **მესამე პირი**) ისარგებლებს უპირატესი შესყიდვის უფლებით და დადგენილ ვადებში გადაიხდის შესაბამის საფასურს, **ბანკი** გაუქმებს **ხელშეკრულებას** და გამოათავისუფლებს **აპოთეკის საგანს**. ამასთან, თუ **მესაკუთრე** უარს განაცხადებს უპირატესი უფლების გამოყენებაზე, ან/და 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში არ დაუდასტურებს **ბანკს** წერილობით, რომ იგი იყენებს ამგვარ უპირატესი შესყიდვის უფლებას, ან/და ვერ შეძლებს შესაბამისი საფასურის გადახდას დადგენილ ვადებში, **ბანკს** უფლება ეძლევა მოახდინოს **აპოთეკის საგნის** რეალიზაცია პოტენციურ მყიდველთან შეთანხმებული პირობებით და ასეთ შემთხვევაში **მხარეების** მიერ ერთმნიშვნელოვნად და უპირობოდ იქნება მიჩნეული, რომ **აპოთეკის საგნის** რეალიზაცია მოხდა სამართლიან და გონივრულ ფასად.

10.5. **ბანკი** უფლებამოსილია **აპოთეკის საგნის** პირდაპირი მიყიდვის გზით რეალიზაცია მოახდინოს მისთვის მისაღები მაღალი რეპუტაციის მქონე საშუამავლო თუ საბროკერო კომპანიის ან ნებისმიერი სხვა **პირის** მეშვეობით.

10.6. **აპოთეკის საგნის ბანკის** მიერ უშუალოდ, პირდაპირი მიყიდვის გზით რეალიზაციიდან ამონაგები თანხიდან პირველ რიგში დაიფარება რეალიზაციის ხარჯები (მათ შორის, საშუამავლო თუ საბროკერო ან ნებისმიერი სხვა **პირის** მიერ გაწეული მომსახურების ხარჯები) და შემდგომ დაკმაყოფილდება **უზრუნველყოფილი მოთხოვნები**.

11. აპოთეკის საგნის გადასვლა ბანკის საკუთრებაში

11.1. **ბანკის** მიერ **ხელშეკრულების 8.2.4. ქვეპუნქტით** გათვალისწინებული უფლების გამოყენების შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია მიმართოს **მესაკუთრეს** **აპოთეკის საგნის ბანკის** საკუთრებაში გადასვლის მიზნით **აპოთეკის საგანზე ბანკის** საკუთრების უფლების წარმოშობის უზრუნველყოფის (მათ შორის, საჯარო

მესაკუთრის ხელმოწერა /_____/

რეესტრში წარსადგენი მესაკუთრისა და **ბანკის** ერთობლივ განცხადებაზე ხელმოწერის) მოთხოვნით. **ბანკის** აღნიშნული მოთხოვნა **მესაკუთრის** მიერ უნდა შესრულდეს **ბანკის** მოთხოვნით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო ასეთის არ არსებობისას, **ბანკის** მოთხოვნიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ბანკის** აღნიშნული მოთხოვნის:

11.1.1. შეუსრულებლობის შემთხვევში **ბანკი** უფლებამოსილია **იპოთეკის საგანზე ბანკის** საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლოს) **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული წესით და პირობებით;

11.1.2. იძულებითი ან ნებაყოფლობითი შესრულების შემთხვევაში, **იპოთეკის საგანი ბანკს** საკუთრებაში გადაეცემა იმ ფასად, რაც შეესაბამება (ა) **უზრუნველყოფილი მოთხოვნებისა** და საკუთრების უფლების გადაცემის ხარჯების ჯამურ ოდენობასა, და (ბ) **ხელშეკრულების 4.1.1.5. ქვეპუნქტით** განსაზღვრულ **იპოთეკის საგნის** შეთანხმებულ ღირებულებას შორის უმცირესს. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ **ბანკის** შეფასებით **იპოთეკის საგნის** საბაზრო ღირებულება ნაკლებია როგორც **უზრუნველყოფილი მოთხოვნის** ჯამურ (მათ შორის, რეალიზაციის ხარჯების ჩათვლით) ოდენობაზე, ასევე **ხელშეკრულების 4.1.1.5. ქვეპუნქტით** განსაზღვრულ **იპოთეკის საგნის** შეთანხმებულ ღირებულებაზე, მაშინ ამ **მუხლის** შესაბამისად **იპოთეკის საგნის** სარეალიზაციო ფასი განისაზღვრება დამოუკიდებელი ექსპერტის ან **ბანკის** (რომელიც უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერად) მიერ დადგენილი საბაზრო ღირებულებით.

12. **მხარეთა პასუხისმგებლობა**

12.1. **მხარეები** იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) **კანონმდებლობით** ან/და **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით** დადგენილი წესით.

12.2. ამასთან, **მესაკუთრე** პასუხს აგებს **ხელშეკრულებით** და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით **ბანკისათვის** მიყენებულ ნებისმიერ ზიანზე (ზარალზე). ზარალის ანაზღაურება **მესაკუთრეს** არ ათავისუფლებს **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან (გადახდისაგან).

12.3. მიუხედავად **ხელშეკრულების 12.1.** და **12.2. პუნქტებით** განსაზღვრული გარანტიებისა, **მესაკუთრის** მიერ **ხელშეკრულებით** და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად და შესაბამისად **ბანკის** უფლებებისა და მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით, **მესაკუთრე** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, საკუთარი შეხედულებისამებრ:

12.3.1. იმოქმედოს **მესაკუთრის** სახელით და ხარჯზე, შესაბამისად, ამ მიზნით გამოვიდეს **მესამე პირებთან** ურთიერთობებში, დადოს ან/და ხელი მოაწეროს ნებისმიერ გარიგებას, მიმართვას, განცხადებას ან/და სხვა ნებისმიერ დოკუმენტს და რომ **ბანკის** აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელება არ არის დამოკიდებული **მესაკუთრის** არანაირ დამატებით თანხმობაზე, ნებართვაზე ან/და მინდობილობაზე და ეს უფლებამოსილება **მესამე პირებთან** (მათ შორის საჯარო დაწესებულებებთან) ურთიერთობებში არ შეიძლება შეიზღუდოს;

12.3.2. **მესაკუთრის** ნებისმიერი სახის **ანგარიშ(ებ)იდან** უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი, ხოლო თუ გადასახდელი და **ანგარიშ(ებ)ზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით ან **მესაკუთრესთან** შეთანხმებული კურსით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **ანგარიშ(ებ)იდან**, კონვერტირებული თანხა კი მიმართოს შესაბამისი გადასახდელის დასაფარად; ან/და

12.3.3. **ხელშეკრულებიდან** და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)იდან** გამომდინარე **ბანკის** წინაშე არსებული **მესაკუთრის** ფულადი ვალდებულებ(ებ)ის სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად შესაბამისი გადასახდელის ოდენობით **მესაკუთრის** ნებისმიერი სახის **ანგარიშ(ებ)ზე** არაუმეტეს ერთი წლის ვადით უაქცეპტოდ დაუშვას **ოვერდრაფტ(ებ)ი** მისი/მათი დაშვების დროისათვის **ბანკში** დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად და აღნიშნულ **ოვერდრაფტ(ებ)ს** დაარიცხოს **საპროცენტო სარგებელი**.

13. **კომუნიკაცია მხარეებს შორის**

13.1. **მხარეებს** შორის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. **მხარისათვის** გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინება მას შეიძლება მიეწოდოს პირადად ან გაეგზავნოს კურიერის (მათ შორის, საერთაშორისო კურიერის) ან საფოსტო გზავნილის (მათ შორის, დაზღვეული წერილის) საშუალებით. ოპერატიულობის მიზნით და ქვემოთ მოცემული დებულებების გათვალისწინებით, დასაშვებია მეორე **მხარისათვის** შეტყობინების მიწოდება დეპეშის, ტელექსის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის, მოკლე ტექსტური შეტყობინების, მობილ-ბანკის, ინტერნეტ-ბანკის ან **ბანკის** მიერ დადგენილი ნებისმიერი სხვა ოპერატიული საშუალებით გაგზავნის გზით, იმ პირობით, რომ მეორე **მხარის** მოთხოვნის შემთხვევაში, ამგვარი მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში მას წარედგინება შეტყობინება წერილობითი ფორმითაც.

13.2. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია ადრესატის მიერ (მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტით, ქვითრით, შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით და ა.შ.). თუ შეტყობინების მიღება არ არის დადასტურებული ადრესატის მიერ, ნებისმიერი ასეთი შეტყობინება მიიჩნევა სათანადო წესის შესაბამისად გაგზავნილად და მიღებულად:

13.2.1. კურიერის ან დაზღვეული საფოსტო გზავნილის მეშვეობით წერილობითი შეტყობინების ან დეპეშის გაგზავნის შემთხვევაში – ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი);

13.2.2. ფაქსის, ელექტრონული ფოსტის, მოკლე ტექსტური შეტყობინების ან/და სხვა ელექტრონული საშუალებით (გარდა მობილ-ბანკის და ინტერნეტ-ბანკისა) გაგზავნის შემთხვევაში – ადრესატის მიერ შესაბამისი შეტყობინების მიღების დადასტურების თარიღიდან, ან შესაბამისი ქმედების განხორციელებით შეტყობინების მიღების დადასტურების თარიღიდან;

13.2.3. მობილ-ბანკის, ინტერნეტ-ბანკის ან/და **ბანკის** მიერ შეთავაზებული ნებისმიერი სხვა ოპერატიული საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში – გაგზავნის თარიღიდან მეორე სამუშაო დღეს, თუკი სხვაგვარად არ იქნა გათვალისწინებული კომუნიკაციის ამგვარი საშუალებების გამოყენებაზე **ბანკის** მიერ დადგენილი წესებითა და პროცედურებით.

13.3. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ **მხარეს** შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან თავს აარიდებს მის მიღებას.

13.4. **მხარეები** ურთიერთობას განახორციელებენ **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით** განსაზღვრულ მისამართებზე (ან სხვა ნებისმიერ მისამართზე, რომელსაც ერთი **მხარე** აცნობებს მეორეს წერილობით). **მხარე** ვალდებულია აღნიშნული მისამართ(ებ)ის ან მათი რომელიმე მონაცემის ცვლილების შესახებ დროულად აცნობოს მეორე **მხარეს**, წინააღმდეგ შემთხვევაში, **მხარის** მიერ აღნიშნულ მისამართზე განხორციელებული ურთიერთობა (შეტყობინების გაგზავნა და სხვა) ჩაითვლება ჯეროვნად შესრულებულად.

14. **კონფიდენციალურობა**

14.1. **მხარეები** ვალდებული არიან **ხელშეკრულების** და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** მოქმედების პერიოდში დაიცვან მეორე **მხარისაგან** მიღებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

14.2. კონფიდენციალურობის შესახებ ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება ინფორმაციას:

14.2.1. რომელიც **კანონმდებლობის** დარღვევის გარეშე იყო ცნობილი ინფორმაციის მიმღები **მხარისათვის** მეორე **მხარის** მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებამდე;

14.2.2. რომლის გამჟღავნებაც მოხდება **მხარეთა** მიერ **კანონმდებლობის** მოთხოვნათა დაცვით და შესასრულებლად (მათ შორის, რომელიმე **მხარის** მიერ სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო) წესით მისი უფლებების განსახორციელებლად);

14.2.3. რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან;

14.2.4. რომელიც არის, ან გახდება **მესამე პირ(ებ)ისათვის** ხელმისაწვდომი **მხარეთა** წერილობითი შეთანხმებით, ან მათგან დამოუკიდებლად.

14.3. მიუხედავად **ხელშეკრულების 14.1. პუნქტით** გათვალისწინებული შეზღუდვისა, **მესაკუთრე ბანკს** ანიჭებს უპირობო უფლებას, **მესაკუთრის** დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის ან აქცეპტის გარეშე:

14.3.1. **მესაკუთრის** შესახებ ინფორმაცია გადასცეს მის **შვილობილ კომპანიებს** ან სხვა აფილირებულ **პირებს მესაკუთრისათვის** სხვადასხვა ტიპის მომსახურების შეთავაზების მიზნით, იმ პირობით და იმის გათვალისწინებით, რომ:

14.3.1.1. ამგვარი ინფორმაცია შემოიფარგლება მხოლოდ იმ ინფორმაციით, რაც აუცილებელია ამგვარი მომსახურების შესათავაზებლად ან/და **ხელშეკრულებით** და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით** განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად;

14.3.1.2. ინფორმაციის მიმღები პირები დაიცავენ ზემოაღნიშნულ დებულებებს ინფორმაციის კონფიდენციალობასთან დაკავშირებით.

14.3.2. საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრული და ს.ს. „კრედიტინფო საქართველოსთან" (საიდენტიფიკაციო კოდი: 204470740) ან ნებისმიერი სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებასთან შეთანხმებული წესით, ფორმით და ვადებში:

14.3.2.1. ს.ს. „კრედიტინფო საქართველოს" ან ნებისმიერ სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებას, რომელიც შეიძლება ფუნქციონირებდეს ან დაარსდეს საქართველოს ან ნებისმიერი სხვა იურისდიქციის ქვეშ, მიაწოდოს ინფორმაცია **მესაკუთრის** შესახებ, რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: **მესაკუთრის** საიდენტიფიკაციო მონაცემებს, აგრეთვე **მესაკუთრის** მსხვილი აქციონერებისა/დამფუძნებლების და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი **პირების** სახელებსა და საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე ვალის წარმოშობის საფუძველს, მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ **საპროცენტო სარგებელს**, მოქმედების ვადას, **მესაკუთრის** მიერ ვალთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, უზრუნველყოფის საგნის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ხოლო სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო) დავის არსებობის შემთხვევაში სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო) სამართალწარმოების და სააღსრულებო წარმოების შედეგებს;

14.3.2.2. მისცეს თანხმობა ს.ს. „კრედიტინფო საქართველოს" ან ნებისმიერ სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებას, რომ **ბანკის** მიერ ს.ს. „კრედიტინფო საქართველოსათვის" ან ნებისმიერი სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებისათვის მიწოდებული **მესაკუთრის** მონაცემები ს.ს. „კრედიტინფო საქართველომ" ან ნებისმიერმა სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებამ გადასცეს **მესამე პირებს**, იმ პირობით რომ **ბანკის** მიერ მიწოდებული **მესაკუთრის** მონაცემების მიწოდება მოხდება იმ **პირებისთვის**, რომლებიც თავადაც აწვდიან ს.ს. „კრედიტინფო საქართველოს" ან ნებისმიერ სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებას აღნიშნული ხასიათის მონაცემებს და რომელთაც გაფორმებული აქვთ შესაბამისი **ხელშეკრულება** ს.ს. „კრედიტინფო საქართველოსთან" ან ნებისმიერ სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებასთან;

14.3.2.3. მოიძიოს, მიიღოს და გამოიყენოს ს.ს. „კრედიტინფო საქართველოს" ან ნებისმიერი სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულების მონაცემთა ბაზაში არსებული **მესაკუთრის** მონაცემები.

14.3.3. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოდან ან/და ნებისმიერი სხვა იდენტური ან მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებიდან (კერძო ან საჯარო) გამოითხოვოს, მიიღოს და შეინახოს **მესაკუთრის** შესახებ დაცული ინფორმაცია (მათ შორის პერსონალური მონაცემები და საიდენტიფიკაციო დოკუმენტები) და აღნიშული ინფორმაციის მონაცემთა ბაზები (მათ შორის ელექტრონული ბაზები), ასევე შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება ან/და პროცედურა რაც დაკავშირებულია ზემოაღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებასთან;

14.3.4. **მესაკუთრის** შესახებ ინფორმაცია (მათ შორის, ინფორმაცია **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** შესახებ) მიაწოდოს:

14.3.4.1. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** და **ძირითადი ხელშეკრულების** მხარეებს;

14.3.4.2. **მესამე პირებს**: ა) **მესაკუთრის** მიერ **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებების** პირობების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად **ბანკის** უფლებების განხორციელების მიზნით, ან/და **მესაკუთრის** მიერ **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების** პირობების შესრულებაზე მონიტორინგის მიზნით ან ბ) რომლებიც დაინტერესებულნი არიან **ხელშეკრულებიდან** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებებიდან** და **ძირითადი ხელშეკრულებიდან** გამომდინარე **ბანკის** მოთხოვნების შეძენით/სინდიცირებით ან/და **მესაკუთრის** ვალდებულებების გადაკისრებით.

15. **პრეტენზიები და დავები**

15.1. **ხელშეკრულებიდან** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)იდან** გამომდინარე პრეტენზიები **მხარეებმა** შეიძლება ერთმანეთს წაუყენონ წერილობით ან/და ზეპირად. პრეტენზიის მიმღები **მხარე** ვალდებულია პრეტენზიის მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში მთლიანად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს წამოყენებული პრეტენზია, ან წერილობით ან/და ზეპირად აცნობოს მეორე **მხარეს** მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

15.2. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა (მათ შორის, **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** არსებობასთან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით) წყდება მოლაპარაკებით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, **მხარეები** მიმართავენ სასამართლოს. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ **ბანკის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

მესაკუთრის ხელმოწერა / ______________________ /

მიუხედავად, **ხელშეკრულების 15.2. პუნქტით** განსაზღვრული დებულებისა, იმ შემთხვევაში თუ **მხარეთა** შორის დავა უკვე არ არის გადაცემული სასამართლოში განუხილველად, **ბანკი** უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ დავის გადასაწყვეტად მიმართოს არბიტრაჟს **ხელშეკრულების 15.4. პუნქტით** განსაზღვრული საარბიტრაჟო შეთანხმების შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში, **მესაკუთრე** სრულად და უპირობოდ ეთანხმება ამ **პუნქტით** გათვალისწინებულ საარბიტრაჟო დათქმას და გამოთქვამს თანხმობას დავის განხილვა მოხდეს არბიტრაჟში.

მხარეები თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულებიდან** (მათ შორის მისი **დანართ(ებ)იდან) და/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)იდან** გამომდინარე ნებისმიერი **დავის ხელშეკრულების 15.3. პუნქტით** გათვალისწინებული წესით არბიტრაჟისათვის გადაცემის შემთხვევაში:

15.4.1. ასეთი საკითხ(ებ)ი განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა შ.პ.ს. „დავების განმხილველ ცენტრს" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204547348; ვებ-გვერდი: www.drc-arbitration.ge) (შემდგომში - **მუდმივმოქმედი არბიტრაჟი**), ან მის სამართალმემკვიდრეს;

15.4.2. საარბიტრაჟო განხილვა ჩატარდება საქართველოში (ქ. თბილისში), ქართულ ენაზე, ქართული სამართლის ნორმების (**კანონმდებლობის**) შესაბამისად და **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** რეგლამენტის/დებულების იმ რედაქციის შესაბამისად, რომელიც იქნება მოქმედი საარბიტრაჟო სარჩელის მიღების თარიღისათვის და ამასთან, სრულად ან ნაწილობრივ არ იქნება შეუსაბამო ამ **პუნქტით** განსაზღვრულ საარბიტრაჟო შეთანხმებასთან, თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ან **მხარეთა** დამატებითი წერილობითი შეთანხმებით სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული;

15.4.3. თუ დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 100,000 (ასი ათასი) ლარს ან მის ექვივალენტს (საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფიქსირებული კურსით) უცხოურ ვალუტაში, **მხარეთა** შორის დავა განიხილება 1 (ერთი) არბიტრისაგან შემდგარი საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ, რომელსაც საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში ნიშნავს თავად **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარე **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** არბიტრთა ნუსხიდან;

15.4.4. თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 100,000 (ასი ათასი) ლარს ან მის ექვივალენტს (საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფიქსირებული კურსით) უცხოურ ვალუტაში, **მხარეთა** შორის დავა განიხილება **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** არბიტრთა ნუსხიდან დანიშნული 3 (სამი) არბიტრისაგან შემდგარი საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ, რომელთაგან თითო არბიტრს **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** რეგლამენტის/დებულების შესაბამისად ნიშნავს თითოეული **მხარე**, ხოლო მესამე არბიტრს - **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარე. ამასთან:

15.4.4.1. მოსარჩელე არბიტრს ნიშნავს საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში, ხოლო მოპასუხე - მისთვის საარბიტრაჟო სარჩელის გადაცემიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში (თუ მოპასუხე წარმოდგენილია ერთზე მეტი **პირით**, მაშინ ვადის ათვლა იწყება საარბიტრაჟო სარჩელის ერთ-ერთი მათგანისათვის (ყველაზე ადრე ჩაბარების გათვალისწინებით) ჩაბარების შემდეგი დღიდან). თუ კი საარბიტრაჟო დავაში რომელიმე მხარეს მონაწილეობს ერთზე მეტი პირი, მათ ერთობლივად უნდა ისარგებლონ არბიტრის დანიშვნის უფლებით;

15.4.4.2. მესამე არბიტრის, რომელიც ამავე დროს იქნება საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე, დანიშვნის უფლებას **მხარეები** გადასცემენ **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც არბიტრს ნიშნავს საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში;

15.4.4.3. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე **მხარე** არ დანიშნავს არბიტრს **ხელშეკრულების 15.4.4.1. ქვეპუნქტით** გათვალისწინებულ ვადაში ჩაითვლება რომ ის უარს ამბობს ისარგებლოს არბიტრის უშუალოდ დანიშვნის უფლებით და რომ არბიტრის დანიშვნის უფლებას იგი გადასცემს **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარეს. ამ შემთხვევაში **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარე არბიტრს ნიშნავს **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** არბიტრთა ნუსხიდან, შესაბამისი **მხარის** მიერ არბიტრის დანიშვნის ვადის გაშვებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში.

15.4.5. **ხელშეკრულების 15.4.3.** და **15.4.4. ქვეპუნქტის** პირობ(ებ)ის შესაბამისად არბიტრის დანიშვნის თანადროულად შესაბამისმა **მხარემ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს უნდა წარუდგინოს არბიტრობის კანდიდატის წერილობითი თანხმობა არბიტრობაზე;

15.4.6. მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის ან სხვა რაიმე მიზეზით უმოქმედობის შემთხვევაში, არბიტრს შეუწყდება უფლებამოსილება საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე ან **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარის მიერ საკუთარი ინიციატივით ან ერთ-ერთი **მხარის** დასაბუთებული წერილობითი განცხადებით;

15.4.7. **მხარეს**, რომელსაც განზრახული აქვს აცილება გამოუცხადოს არბიტრს, ვალდებულია აცილების შესახებ წერილობითი განცხადება წარუდგინოს **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარეს და არბიტრებს 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში იმ დღიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა შესაბამისი არბიტრის დანიშვნა ან **კანონმდებლობით** გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, რომელიც არბიტრის აცილების საფუძველია. განცხადებაში უნდა მიეთითოს აცილების საფუძველი და მოტივები. თუ არბიტრი, რომლის აცილების საკითხიც განიხილება, არ აცხადებს თვითაცილებას ან თუ მეორე **მხარე** არ დაეთანხმება აცილებას მისთვის არბიტრის აცილების თაობაზე წერილობითი განცხადების წარდგენიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში, მაშინ აცილების საკითხს გადაწყვეტს **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარე ამ ვადის ამოწურვიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში. **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარის ეს გადაწყვეტილება საბოლოოა, არ გასაჩივრდება და **მხარეები** თანხმდებიან არბიტრის აცილების მოთხოვნით არ მიმართონ სასამართლოს;

15.4.8. არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტიდან ან აცილებიდან/თვითაცილებიდან 7 (შვიდი) კალენდალური დღის ვადაში ამგვარი არბიტრის ნაცვლად არბიტრს ნიშნავს **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარე **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** არბიტრთა ნუსხიდან;

15.4.9. საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, **მხარეს** შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარეს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ. **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარის მიერ გამოყენებულ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს აქვთ სავალდებულო ძალა და უნდა აღსრულდეს შესაბამისად **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. ზემოაღნიშნული დათქმიდან გამომდინარე, **მხარეები** თანხმდებიან, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების აღსრულებისათვის სასამართლოსათვის მიმართვა და სასამართლოს მიერ მათი ცნობა არ არის საჭირო;

15.4.10. საარბიტრაჟო დავის განხილვა იწყება მოპასუხისათვის საარბიტრაჟო სარჩელის გადაცემის მომენტიდან;

15.4.11. თუ დავის საგნის ღირებულება არ აღემატება:

15.4.11.1. 50,000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს ან მის ექვივალენტს (საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფიქსირებული კურსით) უცხოურ ვალუტაში და დავა განიხილება 1 (ერთი) არბიტრისაგან შემდგარი საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ, საარბიტრაჟო სასამართლო დავას განიხილავს ზეპირი განხილვის/მოსმენის გარეშე;

15.4.11.2. 200,000 (ორასი ათასი) ლარს ან მის ექვივალენტს (საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფიქსირებული კურსით) უცხოურ ვალუტაში და დავა განიხილება 3 (სამი) არბიტრისაგან შემდგარი საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ, საარბიტრაჟო სასამართლო დავას განიხილავს ზეპირი განხილვის/მოსმენის გარეშე.

15.4.12. საარბიტრაჟო დავასთან დაკავშირებულ საარბიტრაჟო თუ სხვა მოსაკრებელს და გადასახდელს გადაიხდის/აანაზღაურებს და ხარჯებს გაიღებს/აანაზღაურებს წაგებული მხარე;

15.4.13. მოპასუხეს უფლება აქვს საარბიტრაჟო სარჩელზე შესაგებელი/შეპასუხება წარმოადგინოს საარბიტრაჟო სარჩელის მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში. ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ ჩაითვლება, რომ მოპასუხემ უარი განაცხადა შესაგებელზე/შეპასუხებაზე;

15.4.14. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში. აუცილებლობის შემთხვევაში ეს ვადა შესაძლებელია გაიზარდოს გონივრული ვადით, მაგრამ არაუმეტეს **კანონმდებლობით** გათვალისწინებული ვადისა. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოტანის მომენტიდან. საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარემ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომელიც სხვა აუცილებელ შემადგენელ ნაწილებთან ერთად უნდა შეიცავდეს ასევე სამოტივაციო ნაწილს, უნდა გადასცეს **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელი გადაწყვეტილებაც უნდა გადაეცეს **მხარეს** მისი ზეპირი ან წერილობითი მოთხოვნისთანავე;

15.4.15. თითოეულ **მხარეს** უფლება აქვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მის მიერ მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, მაგრამ არაუმეტეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში მოსთხოვოს საარბიტრაჟო სასამართლოს:

15.4.15.1. გაასწოროს შეცდომა, რომელიც დაშვებულ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში მოცემულ გაანგარიშებებში, აგრეთვე მისი წერითი, ბეჭდური ან სხვა ამგვარი შეცდომები;

15.4.15.2. მისცეს განმარტება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების რომელიმე კონკრეტულ საკითხთან ან ამ გადაწყვეტილების რომელიმე ნაწილთან დაკავშირებით;

15.4.15.3. გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება იმ მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომლებიც განცხადებული იყო საარბიტრაჟო განხილვის მიმდინარეობისას, მაგრამ არ იქნა ასახული გადაწყვეტილებაში.

15.4.16. ყველა კომუნიკაცია **მხარეებს, მუდმივმოქმედ არბიტრაჟსა** და საარბიტრაჟო სასამართლოს შორის უნდა წარმოებდეს **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის კანცელარიის** მეშვეობით;

15.4.17. საარბიტრაჟო დავის განხილვის წესები და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება არც **ხელშეკრულებით**, არც **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** რეგლამენტით/დებულებით და არც **კანონმდებლობით**, გადაწყდება **მუდმივმოქმედი არბიტრაჟის** სასამართლოს თავმჯდომარის, ხოლო საარბიტრაჟო სასამართლოს ფორმირების შემდეგ - საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ.

16. ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტა

16.1. **ხელშეკრულება** ძალაში შედის იპოთეკის უფლების წარმოშობის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან და, თუკი სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული **ხელშეკრულების დანართ N1-ით (დამატებითი პირობები)** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მოქმედებს:

16.1.1. **ძირითადი ხელშეკრულების** ვადის ბოლომდე (იმ პირობით, რომ აღნიშნული თარიღისათვის **მოვალის** მიერ სრულად და ჯეროვნად იქნება შესრულებული **ძირითადი ხელშეკრულებით** ან/და **ძირითად ხელშეკრულებასთან დაკავშირებული** სხვა **ხელშეკრულებ(ებ)ით** გათვალისწინებული **უზრუნველყოფილი მოთხოვნები)**; ან

16.1.2. **მესაკუთრის** მიერ **ხელშეკრულებით** და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით** გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

16.2. **ხელშეკრულებით, მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით** ან/და **კანონმდებლობით** დადგენილ შემთხვევებში და პირობებით შესაძლებელია **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა:

16.2.1. **ბანკის** მიერ, თუ **მესაკუთრე** სრულად და ჯეროვნად არ შეასრულებს **ხელშეკრულებით** ან/და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი **სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით** განსაზღვრულ ნებისმიერ ვალდებულებას (მათ შორის, ფულად ვალდებულებას, **განცხადებებს და გარანტიებს**, ნებისმიერ პირობას ან/და სხვა ვალდებულებას);

16.2.2. **ბანკის** მიერ, ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყებისას ან დადგომისას, რითაც საფრთხე შეექმნება **იპოთეკის საგანს** ან/და ან/და თუ **ბანკისთვის** საეჭვო გახდება **მესაკუთრის** მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულება;

16.2.3. **ბანკის** მიერ, თუ **მესაკუთრე** სრულად და ჯეროვნად არ შეასრულებს **ბანკთან** გაფორმებული სხვა ნებისმიერი **ხელშეკრულებით** ან/და სხვა დოკუმენტით ნაკისრ ვალდებულებებს;

16.2.4. **ბანკის** ან/და **მესაკუთრის** მიერ, თუ **მესაკუთრე** სრულად და ჯეროვნად შეასრულებს **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით** განსაზღვრულ ნებისმიერ ვალდებულებას (მათ შორის, ფულად ვალდებულებას, **განცხადებებს და გარანტიებს**, ნებისმიერ პირობას ან/და სხვა ვალდებულებას);

16.2.5. **ბანკის** მიერ, თუ ადგილი ექნება **იპოთეკის საგნის** ან მისი ნაწილის დაყადაღებას;

16.2.6. **მხარეთა** წერილობითი შეთანხმებით;

16.2.7. **ხელშეკრულებით, მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით** ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16.3. იმ შემთხვევაში, თუ **მესაკუთრე კანონმდებლობის** საფუძველზე და მის შესაბამისად მიიღებს **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** ცალმხრივად სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის გადაწყვეტილებას, ვალდებულია წერილობით შეატყობინოს **ბანკს** მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, რომელიც არ უნდა იყოს 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარულ დღეზე ნაკლები. ამასთან **მესაკუთრის** მიერ **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** ცალმხრივად სრულად შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ **მესაკუთრის** (ან/და **მოვალ(ეებ)ის**) მიერ **უზრუნველყოფილი მოთხოვნების** ან/და **ძირითადი ხელშეკრულებით** ან/და **ძირითად ხელშეკრულებასთან დაკავშირებული** სხვა **ხელშეკრულებ(ებ)ით** ნაკისრი სხვა ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების პირობით. ხოლო თუ **ხელშეკრულებით, მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით** ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ შემთხვევებში **ხელშეკრულება** ან/და **მასთან**

მესაკუთრის ხელმოწერა /______________________/

დაკავშირებული სხვა ხელშეკრულება(ები) უნდა შეწყდეს უფრო მოკლე ვადებში ან/და **ბანკს** მიზანშეწონილად მიაჩნია **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** უფრო მოკლე ვადებში შეწყვეტა, **ხელშეკრულება** ან/და **მასთან დაკავშირებული** სხვა ხელშეკრულება(ები) შეიძლება უფრო მოკლე ვადებშიც შეწყდეს.

16.4. **ხელშეკრულების** 16.2.1. - 16.2.6. **ქვეპუნქტებით** გათვალისწინებულ ნებისმიერი შემთხვევის, ან სხვა მსგავსი გარემოების (რაც წარმოადგენს **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** შეწყვეტის საფუძველს) დადგომისას ან **16.3. პუნქტით** გათვალისწინებულ შემთხვევაში, **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** შეწყვეტისას:

16.4.1. **ბანკი** თავისუფლდება **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** საფუძველზე **მესაკუთრის** წინაშე ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

16.4.2. **ბანკი** უფლებამოსილია **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** შეუწყვეტლად, ან **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, მოსთხოვოს **მესაკუთრის ხელშეკრულებიდან** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებებიდან** გამომდინარე ვალდებულებების ვადამდე სრულად და ჯეროვნად შესრულება, რა შემთხვევაშიც ვალდებულების წინსწრებით შესრულების ან/და სხვა საფინანსო ორგანიზაციებიდან რეფინანსირებისათვის **მესაკუთრეს** არ ეკისრება რაიმე დამატებითი გადასახდელის გადახდა.

16.5. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ ათავისუფლებს **მესაკუთრეს ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით** ნაკისრი ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან (გადახდისაგან) ამგვარი ვალდებულების იძულებითი ან ნებაყოფლობითი შესრულების მომენტამდე.

17. ცვლილებები და დამატებები

17.1. **ხელშეკრულებაში** ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება წერილობითი ფორმით **მხარეთა** შეთანხმებით.

17.2. **ხელშეკრულებაში** შეტანილი ცვლილებები და დამატებები წარმოადგენს **ხელშეკრულების დანართ(ებ)ს** და განუყოფელ ნაწილს. ამასთან, თუ ცვლილებები და დამატებები, თავისი შინაარსით, საჭიროებენ საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, მაშინ ისინი ძალაში შედიან მათი საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდგომ.

18. ხელშეკრულების პირობების მოქმედება მესაკუთრ(ეებ)ის მიმართ

18.1. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** მიზნებისათვის, **„მესაკუთრე"**-ს დეფინიციაში მოცემულ პირებზე **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** პირობები გავრცელდება სრულად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი **პირის** სამართლებრივი სტატუსიდან (ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი) გამომდინარე კონკრეტული პირობა ვერ გავრცელდება ამგვარ **პირზე**.

18.2. იმ შემთხვევაში, თუ **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის მხარეს** წარმოადგენს ერთზე მეტი **მესაკუთრე**:

18.2.1. თითოეული ასეთი **მესაკუთრე** წარმოადგენს **ბანკის** მიმართ სოლიდარულ მოვალეს **ხელშეკრულებიდან** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)იდან** გამომდინარე ვალდებულებებზე;

18.2.2. თითოეული **მესაკუთრის** სოლიდარული პასუხისმგებლობა ძალაშია მიუხედავად მათ მიერ **ხელშეკრულებიდან** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ვალდებულების უზრუნველსაყოფად **ბანკის** სასარგებლოდ რაიმე ფორმით გაცემული დამატებითი ვალდებულების (მათ შორის, თავდებობის ან/და გარანტიის) არსებობა/არარსებობისა;

18.2.3. ერთ-ერთ **მესაკუთრესთან** დაკავშირებული ფაქტები გამოიყენება სხვა **მესაკუთრის** მიმართაც, იმის გათვალისწინებით, რომ **ბანკის** მიერ რომელიმე **მესაკუთრის** მიმართ თავისი უფლებების გამოუყენებლობა (სრულად ან ნაწილობრივ) არ გავრცელდება სხვა **მესაკუთრეზე** და არ ათავისუფლებს მათ შესაბამისი ვალდებულებებისაგან;

18.2.4. ერთ-ერთი **მესაკუთრის** მიერ **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** დარღვევის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია შესაბამისი მოთხოვნა/მოთხოვნები წაუყენოს ნებისმიერ **მესაკუთრეს** და მის მიმართ ისარგებლოს **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით** გათვალისწინებული ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი უფლებებით.

19. სხვა პირობები

19.1. **მხარეები** ადასტურებენ, რომ **ხელშეკრულების** შინაარსი ზუსტად გამოხატავს **მხარეთა** ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა **ხელშეკრულების** შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

19.2. ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება **მხარეს** მეორე **მხარის** მიერ **ხელშეკრულების**, **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** ან/და **კანონმდებლობის** სრულად ან ნაწილობრივ დარღვევის შედეგად, კრებითია და დაემატება **ხელშეკრულებით**, **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით** ან/და **კანონმდებლობით** მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას.

19.3. ერთ-ერთი **მხარის** მხრიდან **ხელშეკრულების**, **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** ან/და **კანონმდებლობის** სრულად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე **მხარის** მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება **ხელშეკრულების**, **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** ან/და **კანონმდებლობის** ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე.

19.4. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** ან/და მათი სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით** (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

19.5. **ხელშეკრულებაში** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ში** მხოლობით რიცხვში გამოყენებული სიტყვები გულისხმობს მრავლობითს და პირიქით.

19.6. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული ხელშეკრულებ(ებ)ის** ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება.

19.7. **ხელშეკრულების დანართ(ებ)სა** და **მასთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულებებზე** სრულად ვრცელდება **ხელშეკრულების** მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის და ქვეპუნქტ(ებ)ის მოქმედება. ამასთან, **ხელშეკრულების** და **ხელშეკრულების დანართ(ებ)სა** თუ **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** პირობებს შორის წინააღმდეგობის ან შეუსაბამობის არსებობისას, ამგვარი **დანართ(ებ)ის** და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** პირობებს მიენიჭება უპირატესობა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელთა დასარეგულირებლადაც დადებულია ამგვარი **დანართ(ებ)ი** თუ **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ი**.

19.8. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** დებულებ(ებ)ის არსებობა/არარსებობასთან, მათ შინაარსთან, განმარტებასთან ან/და განხორციელებასთან დაკავშირებით **მხარეთა** შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება **ბანკში** დაცულ ეგზემპლარს. ამასთან, ამ უკანასკნელ დებულებასთან მიმართებით ყოველგვარი ეჭვის ან/და დავის გამორიცხვის მიზნით, **მესაკუთრე** ვალდებულია ხელი მოაწეროს **ხელშეკრულების** და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** (მათი **დანართ(ებ)ის** ჩათვლით) **ბანკში** დაცული ეგზემპლარის თითოეულ გვერდს, მაგრამ **მესაკუთრის** მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობა არ ხდის ამ **პუნქტით** გათვალისწინებულ დებულებას საეჭვოს ან სადავოს.

19.9. **ხელშეკრულება** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ი** მისი ვალდებულებებითა და სარგოებით ვრცელდება და სავალდებულოა **მხარეთა** უფლებამონაცვლეების, თუ მემკვიდრეებისათვის/სამართალმემკვიდრეებისათვის.

19.10. **მესაკუთრეს** უფლება არა აქვს **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე **მესამე პირს** გადასცეს ან გადააბაროს მასზე **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით** (მათ შორის, მათი **დანართ(ებ)ით**) ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება. **ბანკის** უარი გამორიცხავს ნებისმიერი ზემოაღნიშნული ქმედების ან/და გარიგების განხორციელების შესაძლებლობას და შესაბამისად ამ წესის დარღვევით განხორციელებული ქმედება ან/და გარიგება ბათილია და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, გარდა **კანონმდებლობით** ცალსახად განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთან, ეს დებულება არ გულისხმობს დაოქმას, რომ **მესაკუთრემ** პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულებები და არ გამორიცხავს **ბანკის** უფლებას მიიღოს **მესამე პირისაგან** შემოთავაზებული შესრულება, მიუხედავად იმისა თანახმაა თუ არა **მესაკუთრე**.

19.11. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით**, **მხარეები** იხელმძღვანელებენ **კანონმდებლობით** დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთახმებული პირობებით.

19.12. **ხელშეკრულება** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ი** შედგენილია ქართულ ენაზე. თუ რომელიმე **მხარემ** არ იცის ქართული ენა ან/და მისი დამწერლობა, ან **მხარეებს** ან ერთ-ერთ **მხარეს** სურს, მაშინ **ხელშეკრულება** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ი** შესაძლოა შედგეს და დაიდოს ასევე **მხარეთათვის** მისაღებ სხვა ენაზეც. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** ინტერპრეტაციისას უპირატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ტექსტს. აღნიშნული ნორმები ვრცელდება, ასევე, **მხარეთა** შორის ურთიერთობაზე ან/და **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის**, თუ ნებისმიერი სხვა დოკუმენტის შედგენასა თუ ინტერპრეტაციაზე.

19.13. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის** თანაბარი იურიდიული ძალის მქონე თითო იდენტური ეგზემპლარი გადაეცემა **მხარეებს**, ხოლო ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრს.

20. მხარეთა ხელმოწერები

ბანკი

/_____/

მესაკუთრე

/_____/

მესაკუთრის ხელმოწერა /_____/

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N171496758
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	26.12.2017 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ირმა შარვაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ჟ. შარტავას 42
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2238372
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	27792214464417

მე, ნოტარიუსი ირმა შარვაძე /სანოტარო ბიურო მდებარე: თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #42/ მიმიწვიეს სანოტარო მოქმედების შესასრულებლად გაგარინის ქ. #29ა-ში, სადაც

მომმართა:

შალვა კიკნაძემ (დაბადების თარიღი 17.11.1973წ. მისამართი თბილისი კ.კეკელიძის ქ. N 14/20 ბ. 9, პირადი ნომერი 01017017721)

წარმოადგინა:

ხელშეკრულება და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის დამოწმება.

შევამოწმე:

მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნია.

ვადასტურებ:

დოკუმენტზე ხელმოწერა შესრულებულია პირადად მის მიერ ჩემი თანდასწრებით, რასაც ვამოწმებ.

ვამოწმებ: ხელმოწერას წარმოდგენილი დოკუმენტის ყველა გვერდზე.

შენიშვნა:

მე, არ ვადასტურებ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას, შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე პასუხს არ ვაგებ.

გადახდილია საზღაური: დოკუმენტის 4 ეგზემპლარზე შესრულებული 28 ხელმოწერის დამოწმებისთვის 56,00 ლარი; ბიუროს გარეთ შესრულებული სანოტარო მოქმედების შესრულებისთვის 20.00 ლარი, დღგ 13.68 ლარი რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი; თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29.12.2011წ. #507 „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“) 31-ე, 34-ე და 39-ე მუხლებისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169 მუხლისა.

ნოტარიუსი _____

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ნოტარიუს ირმა შარვაძეს

სს საქართველოს ბანკის წარმომადგენელი ლევან ნაცვლიშვილის (პ/ნ 01031004364)

განცხადება

გიდასტურებთ, რომ წარმოდგენილ თანდართულ ხელშეკრულებაზე (სს საქართველოს ბანკსა და შპს თერმორუმს (ს/ნ 405134448) შორის 2017 წლის 26 დეკემბერს გაფორმებულ # CAH000251211 იპოთეკის ხელშეკრულება) არსებული ხელმოწერა განხორციელდა ლევან ნაცვლიშვილის მიერ.

ლევან ნაცვლიშვილი

26.12.2017წ.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N171496840
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	26.12.2017 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ირმა შარვაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ჟ. შარტავას 42
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2238372
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	25013751690117

მე, ნოტარიუსი ირმა შარვაძე /სანოტარო ბიურო მდებარე: თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #42/ მიმიწვიეს სანოტარო მოქმედების შესასრულებლად გაგარინის 29ა-ში, სადაც
მომმართა:
ლევან ნაცვლიშვილმა(პირადი #01031004364, მცხოვრები: ქალაქი თბილისი, რომანოზ ხომლელის ქუჩა, N 3ა)
წარმოადგინა:
განცხადება და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის დამოწმება.ვამოწმებ ხელმოწერას წარმოდგენილი დოკუმენტის ყველა გვერდზე.
შევამოწმე:
მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნია.
ვადასტურებ:
დოკუმენტზე ხელმოწერა შესრულებულია პირადად მის მიერ ჩემი თანდასწრებით, რასაც ვამოწმებ.
შენიშვნა:
მე, არ ვადასტურებ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას, შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე პასუხს არ ვაგებ.

გადახდილია საზღაური: დოკუმენტის 4 ეგზემპლარზე შესრულებული 4 ხელმოწერის დამოწმებისთვის 8.00 ლარი; ბიუროს გარეთ შესრულებული სანოტარო მოქმედების შესრულებისთვის 20.00 ლარი, დღგ 5.04 ლარი რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი; თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29.12.2011წ. #507 „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ") 31-ე, 34-ე და 39-ე მუხლებისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169 მუხლისა.

ნოტარიუსი _____

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

97096696272617

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N171205663

რეგისტრაციის თარიღი

12.10.2017 წ

ნოტარიუსი: ირმა შარვაძე
მისამართი: თბილისი, ჟ. შარტავას 42
ტელეფონი: 2238372

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

მე, ნოტარიუს **ირმა შარვაძეს** (სანოტარო ბიურო მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. #42) სს საქართველოს ბანკის სათავო ოფისში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, გაგარინის ქ. #29ა, მომმართა **კახაბერ კიკნაველიძემ,** რომელმაც განაცხადა, რომ არის სს საქართველოს ბანკის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204378869) გენერალური დირექტორი, რაც დასტურდება სს საქართველოს ბანკის ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (რომელიც ინახება ჩემს არქივში). **კახაბერ კიკნაველიძემ** მოითხოვა რწმუნებულების შედგენა **ზურაბ ქოქოსაძის** სახელზე და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე **კახაბერ კიკნაველიძის** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი ბინადრობის მოწმობის საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **კახაბერ კიკნაველიძემ** (დაბ. 12.12.1972წ. ქ. თბილისში, პირადი ნომერი: 01018000767, მცხ. ალ. ყაზბეგის გამზ. 24გ, ბ.21) მომმართა, დავადგინე მისი ქმედუნარიანობა, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. აგრეთვე, დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შემდეგ შევადგინე წინამდებარე რწმუნებულება, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მარწმუნებელს. მარწმუნებელმა წაიკითხა რწმუნებულება და განაცხადა, რომ რწმუნებულება ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ **კახაბერ კიკნაველიძემ** ხელი მოაწერა შემდეგ რწმუნებულებას:

რწმუნებულება

მე, სს „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორი **კახაბერ კიკნაველიძე** (შემდგომში -მარწმუნებელი), **ზურაბ ქოქოსაძეს** (დაბადებული 25.11.1982 წ. ქ. თბილისში, პირადი ნომერი: 62001032255) (შემდგომში - რწმუნებული), ვანიჭებ უფლებამოსილებას, რათა მან მარწმუნებლის (სს საქართველოს ბანკის) სახელით:

1. დადოს და გააფორმოს (მათ შორის, ხელი მოაწეროს):

1.1. გენერალური საკრედიტო ხაზის, საკრედიტო ხაზის, საბანკო კრედიტის, ოვერდრაფტის, საბანკო გარანტიის, აკრედიტივის, სტენდბაი აკრედიტივის, დოკუმენტალური ინკასოს, ფაქტორინგის, ესქრო ოპერაციების ან/და სხვა სახის საბანკო პროდუქტ(ებ)თან დაკავშირებული დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/შეთანხმება(ები)/გარიგება(ები) ან/და სუბორდინაციის, ვალის გადაკისრების, მოთხოვნის დათმობის, ინფორმაციის კონფიდენციალურობის ან/და საბანკო პროდუქტ(ებ)თან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/შეთანხმება(ები)/გარიგება(ები);

1.2. იპოთეკის, გირავნობის, თავდებობის ხელშეკრულებებს ან/და უზრუნველყოფის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/შეთანხმება(ები)/გარიგება(ები);

1.3. ნასყიდობის, გამოსყიდვის (შესყიდვის და გაყიდვის ოფციის შესახებ), უპირატესი შესყიდვის და უძრავ/მოძრავ ქონებასთან ან/და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთესთან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/შეთანხმება(ები)/გარიგება(ები);

1.4. შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/შეთანხმება(ები)/გარიგება(ები);

1.5. წინამდებარე რწმუნებულების 1.1, 1.2, 1.3 და 1.4 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დოკუმენტ(ებ)ში/ხელშეკრულება(ებ)ში/შეთანხმება(ებ)ში/გარიგება(ებ)ში შესატანი ნებისმიერი სახის ცვლილებ(ებ)ის/დამატებ(ებ)ის ან/და შეწყვეტის/მოშლის/გასვლის/უარის თქმის შესახებ შეთანხმებ(ებ)ი ან/და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ბრძანება(ები)/განკარგულება(ები)/განცხადება(ები)/წერილ(ებ)ი.

2. წარმოადგინოს მარწმუნებელი ნებისმიერ მესამე პირთან, საჯარო ან/და კერძო ორგანიზაციებში/დაწესებულებებში, აგრეთვე სანოტარო ბიუროში.

3. ხელი მოაწეროს ნებისმიერ საჯარო (მათ შორის და არა მხოლოდ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სსიპ შსს მომსახურების სააგენტოში, სსიპ შემოსავლების სამსახურში, საქართველოს ეროვნულ ბანკში, სანოტარო ბიუროში), ან/და კერძო დაწესებულებებში/ორგანიზაციებში წარსადგენ ნებისმიერი სახის

დოკუმენტაციას/კორესპონდენციას/განცხადებ(ებ)ს/წერილ(ებ)ს (მათ შორის და არა მხოლოდ წარადგინოს განაცხად(ებ)ი სააღსრულებო ფურცლის აღებასთან და მის მიღებასთან დაკავშირებით).

4. სარეგისტრაციო ორგანოებში/დაწესებულებებში სარეგისტრაციოდ წარადგინოს ნებისმიერი სახის ხელშეკრულება(ები)/შეთანხმება(ები)/გარიგება(ები)/განცხადება(ები)/წერილ(ებ)ი/დოკუმენტაცია.
5. შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ან აუკრძალავი ნებისმიერი ქმედება, რომელიც პირდაპირ არ არის მითითებული წინამდებარე რწმუნებულებაში, მაგრამ რწმუნებულის აზრით, საჭირო და აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის და წინამდებარე რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილების და გაცემული დავალებების შესასრულებლად.

წინამდებარე რწმუნებულება გაცემულია გადანდობის უფლებით.

რწმუნებულება ძალაშია განუსაზღვრელი ვადით.

რწმუნებულება შედგენილია ქართულ ენაზე ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს ირმა შარვაძის სანოტარო არქივში, ხოლო სამი გადაეცა მარწმუნებელს.

გადახდილია საზღაური 10 (ათი) ლარი, 20 (ოცი) ლარი სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული მოქმედებისათვის, დღგ 5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი, რეგისტრაციის საფასური 2 (ორი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29.12.2011წ. #507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ") 31-ე, 34-ე და 39-ე მუხლებისა და საგადასახადო კოდექსის 169 მუხლისა.

მარწმუნებელი

კახაბერ კიკნაველიძე _____

ნოტარიუსი

ირმა შარვაძე _____

№ 16/1129

"12" თებერვალი 2018

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის

სსიპ ,,თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს"

გაცნობებთ, რომ სს „საქართველოს ბანკი", როგორც იპოთეკარი, თანახმაა შპს თერმორუმმა (ID ნომერი: 405134448) მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.72.14.013.170) მიიღოს მშენებლობის ნებართვა.

ამასთან, იმ პირობით, რომ სს ,,საქართველოს ბანკი"-ს სასარგებლოდ არსებული უფლება/ები სრულად შენარჩუნდება.

პატივისცემით,

ზურაბ ქოქოსაძე

კორპორაციული საბანკო მომსახურების

დეპარტამენტის დირექტორი

თბილისი 0160, გაგარინის ქ. 29ª Gagarini Str., Tbilisi 0160, Georgia
Phone: (+995 32) 2 444 444 Fax: (+995 32) 2 444 174 Web: www.bog.ge